CMYK - 1


www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 15 ივლისი, 2009 წელი. №158 (2196) | ფასი 50 თეთრი



"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424


სარა პეილინი: ნაბიჯი პრეზიდენტობისკენ თუ პოლიტიკური კარიერის დასასრული?

A7



ქეთი მელუა სამშობლოში

A8



ფაჩულიამ კონტრაქტი ოფიციალურად გააფორმა

A15





24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი


# კრემლის "ძლიერი" გზავნილი

## მედვედევის პოლიტიკური წონა კოკოითის დონეს გაუთანაბრდა

დიმიტრი ავალიანი

*აშშ-ს პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტის შემდეგ რუსეთი საქართველოსთან ომზე აღარ ფიქრობს, ამიტომაც ტანკების ნაცვლად პუტინმა საქართველოში პრეზიდენტი მედვედევი გამოგზავნა. ასე ხსნიან რუსი ექსპერტები რუსეთის პრეზიდენტის მოულოდნელ ხანმოკლე ვიზიტს ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ეს დასავლეთისთვის გაგზავნილ მესიჯად იქცა. გარდა ამისა, ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ კოკოითისთან შეხვედრის მოწყობით პუტინმა მედვედევი საჯაროდ დაამცირა და რუსულ პოლიტიკაში მისი ჭეშმარიტი წონა თვალსაჩინო გახადა.*

ცხინვალში ვიზიტის შემდეგ საკუთარი შთაბეჭდილებები რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა სოჭში სამხედრო მეზღვაურებს გაუზიარა.

სამხრეთ ოსეთს მედვედევმა უწოდა **"ახალი სახელმწიფო, რომელიც თითქმის ერთი წლის წინათ შეიქმნა"** და საქართველო აგრესიაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა.

თუმცა, მისი თქმით, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის საკითხი რუსეთის ამოცანა არ არის. **"როდესმე ქართველი ხალხი თავად გამოუტანს განაჩენს სააკაშვილის რეჟიმს და მათ, ვინც ამ სისხლიან ქმედებებში მონაწილეობდა,"** - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

ცხინვალზე საუბრისას მედვედევმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა **"ძალიან ღარიბულად და რთულ პირობებში ცხოვრობს."** თუმცა, მისი თქმით, ისინი რუსეთის მადლიერნი არიან გასული წლის აგვისტოში მიღებული **"მძიმე გადაწყვეტილებებისთვის,"** რომელთა გარეშეც **"დღეს ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ იქნებოდა."**

მედვედევის აზრით, ამგვარი მადლიერება **"ამყარებს რუსეთის ავტორიტეტს კავკასიაში და მთლიანად მსოფლიოში."**

იმაზე, თუ რამდენად ამყარებს ცხინვალური ვოიაჟი რუსეთისა და პირადად მისი პრეზიდენტის ავტორიტეტს, რუს ექსპერტებს მედვედევისგან განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

ცნობილ მიმომხილველ იულია ლატინინას მოჰყავს საქართველოს პრეზიდენტის განცხადება იმის შესახებ, რომ ცხინვალში ექსპრეს-ვიზიტი მედვედევმა საგანგებოდ "ნაბუკოს" სამიტს მიუძღვნა და ამით აშშ-ს პრეზიდენტისთვის პასუხის გაცემასაც შეეცადა. თუმცა, ლატინინას თქმით, სააკაშვილი **"ბოლომდე მართალი არ არის,"** რადგან, მიმომხილველის აზრით, ეს ვიზიტი, პირველ რიგში, რუსეთის შიდაპოლიტიკური "გარჩევების" შედეგია.

**"დიდი ხანია გამოჩნდა, რომ პუტინი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მიუჩენს ხოლმე მედვედევს კუთვნილ ადგილს. თუ პრეზიდენტი მედვედევი პრესკონფერენციაზე ობამას გვერდით იდგა, მის გვერდით კი პუტინი არ ყოფილა, აქ ეჭვი აღარ უნდა შეგვპარვოდა, რომ მედვედევს შეახსენებდნენ, სინამდვილეში რას წარმოადგენს და იატაკსაც ახეხინებდნენ სახით,"** - წერს ლატინინა.

იგი აღნიშნავს, რომ კოკოითის რეჟიმის მიმართ რუსეთის ხელისუფლებაშიც არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა და **"არავის სურს, ასოცირებული იყოს იმ ტერიტორიასთან, სადაც საქართველოს მოქალაქეებს და რუსულ ფულს იტაცებენ."** შესაბამისად, დასძენს ლატინინა, **"ვიზიტი სამხრეთ ოსეთში, პირველ რიგში, დმიტრი მედვედევის საჯარო პოლიტიკური დამცირება იყო."**

გაგრძელება A2 გვერდზე

# უცნობი კავკასია



*მარკო შახბანოვი დაღესტანში გამომავალი ყველაზე ცნობილი რუსულენოვანი გაზეთის "ნოვოე დელოს" მთავარი რედაქტორია. იგი საქართველოში კავკასიის არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ფოლკლორისტიკის რიგით მეთერთმეტე სამეცნიერო კონფერენციაზე იყო ჩამოსული. საქართველოსა და რუსეთს შორის უკიდურესად დაძაბულმა ურთიერთობამ დაღესტნელებთან იმაზე მეტად დაგვაშორა, ვიდრე ბუნებრივმა საზღვარმა კავკასიონის სახით.*

**- სამწუხაროდ, ჩრდილოეთ კავკასიიდან არცთუ სასიამოვნო ცნობები მოდის...**

- მესმის, რომ ინფორმაცია ჩრდილოეთ კავკასიიდან, მათ შორის დაღესტნიდანაც, მხოლოდ ნეგატიურ მოვლენებზეა კონცეტრირებული - არეულობა, ტერაქტები, ადამიანების გატაცება და ასე შემდეგ. მაგრამ ეს მოვლენები ხშირად საერთოდ არ აისახება მოსახლეობის ფართო ფენების ყოველდღიურ ყოფაზე და, ასე ვთქვათ, მხოლოდ საინფორმაციო სივრცეში რჩება. საქმე ისაა, რომ გაუცხოება ხალხსა და ხელისუფლებას შორის ჩვენთან იმდენად დიდია, რომ ხშირად პოლიტიკური პროცესები, რაც ზედა ეშელონებში ხდება (კორუფცია, დაპირისპირება კლანებს შორის) ხალხს ნაკლებად ეხება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ნაცნობი კავკასია



*საიდ ხაჩუევი გერმანიაში ჩეჩნეთის დიასპორის ხელმძღვანელია. დიასპორაში 600 ჩეჩენი და რამდენიმე ათეული ინგუშია გაერთიანებული. ალბათ არ ღირს იმაზე ყურადღების გამახვილება, რომ ევროპაში იძულებით ჩასახლებული ჩეჩნები არც დღევანდელი იჩქერიის ხელისუფლებას ცნობენ და არც იმის სჯერათ, რომ რუსეთისგან რაიმე სასიკეთოს უნდა ელოდონ. სამაგიეროდ, ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ საქართველოს გარეშე ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხები ისეთ სახელმწიფოს (ან სახელმწიფოებს) ვერ შექმნიან, როგორიც მათ ევროპაში დაუხვდათ.*

**- როგორ შეაფასებთ მდგომარეობას ჩრდილოეთ კავკასიაში?**

- ჩეჩნებს ასეთი იგავი გვაქვს: მამამ და შვილმა კაცი მოკლეს და გარბიან. შვილი ეკითხება მამას: მამა, ეს ომი ჩვენ მოვიგეთო? მამა პასუხობს: კი, შვილო, მოვიგეთო. შვილი კვლავ ეკითხება: მაშ, რატომღა გავრბივართო? დღეს კავკასიაში ასეთი მდგომარეობაა: რუსეთმა 200 წლის მანძილზე ვერ მოახერხა კავკასიას დანათესავებოდა", ვერ შეძლო, რომ ეს მხარე მისადმი მეგობრული გამხდარიყო, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად უამრავი საშუალება ჰქონდა. ისინი რომ კავკასიიდან მიდიან, ამაში ეჭვი არავის ეპარება. პროცესი მიდის, როგორც ამას გორბაჩოვი იტყოდა და ამ პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

გაგრძელება A3 გვერდზე

CMYK - 1

## მოადგილეობის მეორე კანდიდატი

### თავისუფლება დემონსტრანტებს

*გოგა ხაინდრავას ინფორმაციით, დღეს გაათავისუფლებენ დაჩი ცაგურიას, მიშა მესხს და 15 ივნისის დემონსტრაციის დროს დაკავებულ სხვა ახალგაზრდებს. ოპოზიცია და მისი მხარდამჭერები პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეიკრიბებიან და გათავისუფლებული დემონსტრანტებისადმი მხარდაჭერას გამოხატავენ.*

გუშინდელ საინფორმაციო მიტინგზე განსაკუთრებული პოლიტიკური განცხადებები არ გაკეთებულა. საქართველოს გზის ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა მიტინგის მონაწილეებს შეახსენა, რომ ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის თბილისში ვიზიტის დროს ოპოზიცია თავისუფლების მოედანზე გრანდიოზულ აქციას მოაწყობს და ამით გამოხატავს პროტესტს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკისადმი.

ოპოზიციის ლიდერთა განმარტებით, საკნების პერიოდს უშედეგოდ არ ჩაუვლია. მან თავისი მისია შეასრულა. ოპოზიცია ბრძოლის გაგრძელებას აპირებს, ოღონდ ლიდერები ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებენ, ბრძოლის რა ახალ ფორმებს და მეთოდებს სთავაზობენ საზოგადოებას.

### გამოხმაურება №2

პრეზიდენტის ინიციატივას, რომელიც ოპოზიციის ლიდერებისთვის მინისტრის მოადგილეების პოსტების შეთავაზებას ეხებოდა, სალომე ზურაბიშვილის შემდეგ მეორე ოპოზიციონერი მანდილოსანი გამოეხმაურა - კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, თსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი გუგული მაღრაძე. ქალთა პარტიის ლიდერი განათლების მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნას ითხოვს. გუშინ ამ თემის შესახებ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე გუგული მაღრაძემ განაცხადა, რომ განათლებისა და მეცნიერების სფეროში შესაბამისი გამოცდილება აქვს და მზად არის, აღნიშნული თანამდებობა დაიკავოს. მაღრაძის განცხადებით, თუკი მისი წინადადება არ დაკმაყოფილდება, მაშინ პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივა საერთაშორისო საზოგადოებაზე გათვლილ პიარად დარჩება.

*საკუთარი ინფორმაცია*

### ნაქერალას უღელტეხილზე მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაშავებული 9 ახალგაზრდა საავადმყოფოდან გაწერეს

ნაქერალას უღელტეხილზე მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაშავებული 9 ახალგაზრდა ქუთაისის ინტენსიური თერაპიის ცენტრიდან უკვე გაწერეს. ამის შესახებ ჟურნალისტებს ინფორმაცია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა სანდრო კვიტაშვილმა მიაწოდა. ჯანდაცვის მინისტრის განმარტებით, საავადმყოფოდან გაწერილი 9 ახალგაზრდა დაკვირვების მიზნით აღრიცხვაზე დადგება ღუდუშაურის საავადმყოფოში. ამასთან, მისივე თქმით, კიდევ რამდენიმე დაშავებულს ქუთაისის სამედიცინო ცენტრიდან სავარაუდოდ დღეს გამოწერენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ბათუმის პორტში აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების სამხედრო გემი შემოვიდა

გუშინ ბათუმის პორტში აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების სამხედრო გემი შემოვიდა, რომელიც ქართულ-ამერიკულ ერთობლივ სწავლებაში მიიღებს მონაწილეობას. ამის შესახებ საქართველოში აშშ-ს საელჩოს მიერ გავრცელებულ განაცხადებაშია ნათქვამი.

მასში აღნიშნულია, რომ მსგავსი სახის ვიზიტი ბათუმის პორტში მარტშიც განხორციელდა, როდესაც ბათუმში ოთხდღიანი მეგობრული ვიზიტით აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების ფრეგატი შემოვიდა. ვიზიტის ფარგლებში ერთობლივი სწავლება ჩატარდა, რომელშიც საქართველოს სანაპირო დაცვის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა.

*პირველი*

# კრემლის "ძლიერი" გზავნილი

პირველი გვერდიდან

მიმომხილველი მიიჩნევს, რომ ბარაკ ობამას განცხადებების შემდეგ საქართველოსთან ომის დაწყება რუსეთს **"აღარ გამოსდის."** ამიტომაც, **"ტანკების ნაცვლად, საქართველოში პრეზიდენტი მედვედევი გაგზავნეს, რათა, პირველ რიგში, ობამასა და სააკაშვილს წვრილმანი შეურაცხყოფა მიაყენონ, მეორე მხრივ კი, შეახსენონ მედვედევს, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში."**

კიდევ ერთი რუსი ჟურნალისტი ანდრეი კოლესნიკოვი მედვედევის ცხინვალში ვიზიტს რუსეთის ექს-პრემიერ ევგენი პრიმაკოვის პოლიტიკურ ჟესტს ადარებს - სერბეთის წინააღმდეგ ნატო-ს ოპერაციის დაწყების პასუხად აშშ-ში ვიზიტით მიმავალმა პრემიერმა თვითმფრინავი შუა გზაში შემოატრიალებინა და სახლში დაბრუნდა. მიმომხილველის აზრით, მედვედევმა თავისი ჟესტით დასავლეთს დემონსტრაციულად აქცია ზურგი და **"საბოლოოდ დააბნია."**

ჟურნალისტი ამგვარი ჟესტის აუცილებლობას მოსკოვში აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტს უკავშირებს. **"დასავლეთთან ერთკვირიანი მეგობრობის შემდეგ ამ იმიჯის კორექტირება სასწრაფოდ, საიდუმლოდ, ბლიც-ვიზიტის რეჟიმში მოხდა, რათა ევროატლანტისტებს ცხოვრება მთლად არ გაუტკბეთ. თაფლობის თვე მედვედევთან ისე დასრულდა, რომ არც დაწყებულა,"** - აღნიშნავს კოლესნიკოვი.

მისი აზრით, **"შეიძლება ითქვას, რომ ომის ერთი წლის თავზე "გადატვირთვის" ღილაკს დმიტრი მედვედევმა და ედუარდ კოკოითიმ დააჭირეს ხელი."**

კოლესნიკოვი ამტკიცებს, რომ ცხინვალში მედვედევის ვიზიტი კრემლს შიდა რეიტინგის ასამაღლებლადაც დასჭირდა: **"ჩვენ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობთ, ამიტომ რუსეთის პრეზიდენტი, თუ იგი თავის პოპულარობაზე ზრუნავს, ცოტათი კომპარტიის გენერალური მდივანივით უნდა მოიქცეს. გაერო-ს ტრიბუნაზე ფეხსაცმლის ბრახუნი, რა თქმა უნდა, არ ღირს, მაგრამ სამხრეთ ოსეთში გამგზავრებას აზრი ნამდვილად ჰქონდა."**

თბილისში არ აპირებენ, რუსეთის პრეზიდენტის თავხედობა რეაგირების გარეშე დატოვონ. საქართველოს პარლამენტი რუსეთის პრეზიდენტის ცხინვალში ჩასვლის გამო სპეციალურ განცხადებაზე მუშაობს, რომლის ტექსტსაც საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი ამზადებს. დოკუმენტი, რომელიც დასამტკიცებლად დღევანდელ რიგგარეშე სხდომაზე გავა, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას გადაეგზავნება.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის პრეზიდენტს საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე არ ჰქონდა საზღვრის გადაკვეთის უფლება. ამ საკითხზე საგანგებო განცხადება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითმა კომისიამაც გაავრცელა.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილი მიიჩნევს, რომ მედვედევის სასწრაფო ვიზიტი პასუხი გახდა ბარაკ ობამას განცხადებებზე, რომლებსაც უშუალოდ შეხვედრის დროს რუსეთის ხელისუფლება ვერ შეეწინააღმდეგა. მისი თქმით, **"მთელმა მსოფლიომ აღიარა, თუ ვინ მოახდინა საქართველოს ოკუპაცია. თუ მედვედევს რამის თავი ჰქონდა, შეეძლო აზრი თავის დედაქალაქში მაშინ დაეფიქსირებინა, როდესაც ამერიკის პრეზიდენტს ხვდებოდა."**

**"თუმცა აღმოჩნდა, რომ ამის თავი არც მას და არც ე.წ. მამაც პრემიერ-მინისტრ პუტინს აღმოაჩნდათ. როდესაც ობამა რუსეთის ხელისუფლებაზე მზარდ ზეწოლას ახორციელებდა და საქართველოს მიმართ დამოკიდებულების გამო აკრიტიკებდა, სათანადო და სერიოზული პასუხი ვერც ერთმა ვერ გასცა,"** - აღნიშნა მინაშვილმა.

# ხუთმხრივი შეხვედრის შედეგები

დათო გამისონია

*მას შემდეგ, რაც გაერო-ს მისიამ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორია დატოვა, ინციდენტების პრევენციის მექანიზმის შემუშავების მიზნით მოლაპარაკებები გუშინ გაერო-ს მისიის ყოფილ ოფისში გაიმართა. გალში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა პროცედურული საკითხები შეათანხმეს. გარდა ამისა, მომავალი შეხვედრის ადგილი და თარიღი დააზუსტეს.*

ოკუპირებულ აფხაზეთში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა იოჰან ვერბეკემ და საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ჰანსიორგ ჰაბერმა. შეხვედრაზე, სადაც პროცედურული საკითხები შეათანხმეს, ქართული მხრიდან იმყოფებოდნენ როგორც ცენტრალური, ასევე აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები. დისკუსიას ესწრებოდნენ აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის საოკუპაციო შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებიც. აფხაზური დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ე.წ. პრეზიდენტ სერგეი ბაგაფშის რწმუნებული გალისა და ოჩამჩირის რაიონებში რუსლან ქიშმარია, ბაგაფშის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაქსიმ გვინჯია და თავდაცვის მინისტრის მოადგილე გარი კუპალბა. ჟენევაში შეთანხმებული შეხვედრის გამართვამდე ბაგაფშის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა პოზიტიურად იყო განწყობილი. **ვეცდებით, სიტუაციიდან გამოსავალი ვიპოვოთ და განვსაზღვროთ, როგორ გამოვიყენოთ ეს მექანიზმი ეფექტურად. ადვილია, ყველაფერზე უარი ვთქვათ, მაგრამ ეს არ არის ჩვენი ამოცანა,** - განაცხადა შამბამ.

გუშინდელი ხუთსაათიანი შეხვედრა, ძირითადად, შემდეგი დისკუსიის მომზადებას დაეთმო. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების საკიხების შესახებ მომავალი შეხვედრა ორ კვირაში გაიმართება. შეხვედრაზე მყოფმა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გამართული პირველი შეხვედრა. გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა საქართველოში იოჰან ვერბეკემ აღნიშნა, რომ **ეს იყო ინციდენტების პრევენციის შესახებ პირველი შეხვედრა, მასზე გარკვეული პროგრესიც კი შეინიშნებოდა. დისკუსიაზე შევთანხმდით, თუ რა სიხშირით შევხვდებით ერთმანეთს. მინდა აღვნიშნო, რომ ხუთივე მხარემ ერთმანეთის მიმართ პატივისცემა გამოხატა, ამას კი პროგრესისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.** შეხვედრაზე მყოფები მიესალმნენ ვერბეკეს მიერ გამოხატულ პოზიციას. საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ჰანსიორგ ჰაბერმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ ვერბეკემ დადებითი როლი შეასრულა შეთანხმებების მიღწევაში. ამიტომ შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ შემდგომში ასეთი სახის შეკრების თავმჯდომარე გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელი იქნება. დისკუსიაზე ჰაბერმა არსებული ვითარების შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, **სასიამოვნო იყო, რომ ქართული და აფხაზური მხარეები მოქნილობას იჩენდნენ. ეს პროგრესის წინაპირობაა. გარდა ამისა, შეხვედრაზე შევაჯერეთ პროცედურული საკითხები.**

გალში გამართულ დისკუსიაში მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა უტიაშვილი. მან 24 საათს განუმარტა, თუ რა პროცედურულ საკითხებზე შეთანხმდნენ გაერო-ს ყოფილ ოფისში გამართულ მოლაპარაკებებზე. **განვსაზღვრეთ, სად უნდა გაიმართოს შემდეგი შეხვედრა, ვინ უნდა იყოს თავმჯდომარე, ასევე შევთანხმდით სამუშაო ენებზე და ა. შ. პრინციპში, ყველა საკითხი შევაჯერეთ, მხოლოდ ზოგიერთი პროცედურული დეტალი დარჩა გასარკვევი და იმედია, რომ ესეც უახლოეს მომავალში მოხდება,** - განმარტა შოთა უტიაშვილმა. მისი თქმით, პირველი შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ ტექნიკური საკითხებისა და პროცედურების შეთანხმება შემდეგი შეხვედრის მოსამზადებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ ყოფილა პოლიტიკური დიალოგი, სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი მიიჩნევს, რომ ამგვარ შეხვედრებზე შესაძლებელია კონკრეტული შედეგების მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობს სტაბილურობის შენარჩუნებას და შეიძლება მომავალში სხვა პროცესებშიც გადაიზარდოს. რაც შეეხება გალში გამართული ფორმატით მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესით მიღებულ შესაძლო შედეგებს. პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილმა 24 საათს განუცხადა, რომ **ბუნებრივია, ეს ყოველივე უნდა გაგრძელდეს და უახლოეს დროში იმ კონდიციამდე მივიდეთ, რომ ქართული მოსახლეობის უფლებები დაცული იყოს.** დარჩიაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ მიზეზებზე, რამაც ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მხარეებს შორის დისკუსიის დაწყება განაპირობა. **ერთი მხრივ, გალში შეხვედრა შეიძლება იმის გამო შედგა, რომ კრემლის ნაწილმა ობამას პოზიცია სერიოზულად მიიღო და მათ რაღაც ადეკვატური ნაბიჯების გადადგმის მცდელობა აქვთ. ასევე, შესაძლოა, აფხაზურმა მხარემ გააცნობიერა, რომ რუსების ამარა ყოფნა მათთვის საკმაოდ სარისკოა,** - აღნიშნა დავით დარჩიაშვილმა.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# უცნობი კავკასია

პირველი გვერდიდან

ასეთი დამოკიდებულება ალბათ სხვებისთვის გაუგებარია, განსაკუთრებით თქვენთვის, სადაც ხალხი ნებისმიერი საბაბით გამოდის ქუჩაში და პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ უფსკრული ხალხსა და ხელისუფლებას შორის ჩრდილოეთ კავკასიაში გუშინ არ დაწყებულა, ყოველთვის ასე იყო. ამიტომაა, რომ ნებისმიერ სიახლეს ხალხი უარყოფითად ხვდებოდა, მით უფრო მაშინ, როდესაც ცვლილებებს დესტაბილიზაცია მოჰყვება. ჩრდილოეთ კავკასიაში პოლიტქკურ მიტინგზე 2 000 კაცზე მეტი ვერ იკრიბება. ასე რომ, ამ მდგომარეობას თავისაუფლად შეგვიძლია ვუწუდოთ პოლიტიკური ნიჰილიზმი.

**- რატომ, ლიდერებს არ ენდობიან თუ სამოქალაქო საზოგადოებაა სუსტად განვითარებული?**

- ცალსახად პასუხის გაცემა გამიჭირდება, ალბათ ორივე ერთად, პლუს საკითხთა მთელი წყება, რაც უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიას ახასიათებს.

**- მთავარი კითხვა, რასაც ქართველი ჟურნალისტი დაღესტნელ კოლეგას დაუსვამდა - უნდათ თუ არა დაღესტნელ ხალხებს რუსეთის ფედერაციიდან გამოყოფა?**

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა კიდევ უფრო ძნელია. ზოგიერთი რესპუბლიკისთვის რუსეთის ფედერაციიდან გამოსვლა სიკვდილ-სიცოხლის საკითხია, მაგრამ დაღესტანში ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობაა. რასულ გამზატოვის სიტყვებს გავიხსენებ. მან თქვა: დაღესტანი რუსეთის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა და იქიდანაც ნებაყოფლობით არ გამოვაო.

**- მაგრამ ეს სიტყვები გასული საუკუნის 90-იან წლებში ითქვა. დღესაც ასე ფიქრობენ დაღესატნში - დღეს, როცა პოლიტიკური პროცესები მთელს მსოფლიოში ელვის სისწრაფით იცვლება?**

- გამოყოფის შემთხვევაში ზუსტად უნდა განვსაზღვროთ, დამოუკიდებლად ყოფნისას დადებითი შედეგები მეტი გვექნება თუ უარყოფითი. ბუნებრივია, როცა თავად შეგიძლია პოლიტიკური კურსის არჩევა ან ეკონომიკური საკითხების რეგულირება, ეს კარგია, ოღონდ იმ შემთხვევაში, როცა პოლიტიკური ელიტა ქვეყანის კეთილდღეობაზე ფიქრობს. სამწუხაროდ, ჩვენ ისეთი ელიტა არ გვყავს, რომელიც თავის თავზე აიღებს სოციალურ პასუხისმგებელობას. სიტყვა "ელიტასაც" პირობითად თუ ვუწოდებთ იმ ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებში არიან ჩართულნი.

**- კეთილი, "ელიტის" მაგივრად "კლანები" ვიხმაროთ, მაგრამ მათაც ხომ ჰყავთ მხარდამჭერები, თუნდაც მცირერიცხოვანი?**

- რა თქმა უნდა, ჰყავთ - უმთავრესად ვაჰაბიტების სახით. ისე ნუ წარმოიდგენთ, რომ უკლებლივ ყველა კლანი კორუმპირებულია - ეს სიმართლს არ შეეფერება. მაგრამ ისინი, ვინც სწორედ კორუფციის გამო ჩამოაშორეს სახელმწიფო სათავეებს, დღეს რევანშის სურვილით არიან შეპყრობილნი და ხელისუფლებაში მოსვლას ვაჰაბიტების საშუალებით ცდილობენ.

**- როგორ მოიქცევიან დაღესტნელები, თუ მათი მეზობლები მაინც მიაღწევენ დამოუკიდებლობას და რუსეთს გამოეყოფიან?**

- ჩემი აზრით, დაღესტნელები რუსეთის შემადგენლცბიდან გამოსვლას მხარს არ დაუჭერენ. მთავარი მიზეზი ჩვენი ჭრელი ეთნიკური შემადგენლობაა. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, დღის წესრიგში აუცილებლად დადგება სახელმწიფო ენის პრობლემა. რომც გახდეს დაღესტანი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ქვეყნის შიგნით არსებული დესტრუქციული ძალები, გარე ძალების დახმარებით, დაღესტანს ბოსნია-ჰერცეგოვინამდე მიიყვანენ.

**- ჩვენამდე აღწევს ინფორმაცია, რომ დაღესტანში ადამიანის უფლებები ილახება...**

- ისევე, როგორც მთელს რუსეთში, ჩვენთან, როგორც პერიფერიაში, ცოტათი მეტადაც კი. ამისდა მიუხედავად, არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ მხრივ დამოუკიდებელ დაღესტანში უკეთესი მდგომარეობა შეიქმნება. ჩვენ რომ მონოეთნიკური სახელმწიფო ვიყოთ, ალბათ სხვაგვარად ვიფიქრებდი. მაგრამ დაღესტანში ძნელი განსასაზღვრია, რომელი ეთნიკური ჯგუფი რომელი სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოექცევა. მაგალითად, როგორ მოიქცევა დაღესტნის თურქულენოვანი მოსახლეობა - აზერბაიჯანსა და თურქეთზე აიღებს ორიენტაციას? ან სხვები რა გადაწყვეტილებას მიიღებენ - რუსების გავლენის ქვეშ მოექცევიან, ქართვლების თუ სომხების? ხომ ხვდებით, რომ კოჩფლიქტი მათ შორის გარდაუვალია? აღარაფერს ვამბობ ეკონომიკურ მხარეზე და იმ კავშირების რღვევაზე, რაც დღეს დაღესატანში, ასე თუ ისე, აწყობილია.

**- ყველაფრის გათვალისწინებით, რაც ზემოთ აღნიშნეთ, შეგვიძლია თუ არა დაღესატანში რამდენადმე დამოუკიდებელ მასმედიაზე ვილაპარაკოთ?**

- რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში, არ ვიცი, მაგრამ კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, მათ შორის სომხეთსა და აზერბაიჯანსაც ვგულისხმობ, ჩვენთან მეტი სიტყვის თავისუფლებაა. მე, მაგალითად, შემიძლია უპრობლემოდ ვაკრიტიკო ნებისმიერი მინისტრი ან თუნდაც პრეზიდენტი, რაც, ცნობისათვის, არაერთხელ გამიკეთებია კიდეც, მაგრამ ამისთვის არავის დავუსჯივარ. დაღესტანში 2 მილიონი ცხოვრობს, ჩვენი გაზეთის ტირაჟი კი 25 000-ია. მგონი, ცუდი ტირაჟი არ უნდა გვქონდეს.

**- მაღალი ტირაჟით მხოლოდ რუსულენოვანი გაზეთები გამოიცემა?**

- რასაკვირველია, რუსულენოვან გამოცემებს მეტი მკითხველი ჰყავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადგილობრივ ენებზე გამომავალ გაზეთებს, როგორც საზოგადოებრივ-პოყიტიკურს, ისე რელიგიურს, ხალხი არ კითხულობს. დაახლოებით ჩვენნაირი ტირაჟით გამოიცემა რელიგიური გაზეთი ავარიულ ენაზე, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იმავე ავარიულზე გამომავალი ყველაზე პოპულარული საერო გაზეთის ტირაჟი 11 000-ია.

*ესაუბრა სოფიო თოდუა*

# ნაცნობი კავკასია

პირველი გვერდიდან

მომენტი, როცა შეიძლებოდა მგომარეობა რუსეთის სასარგებლოდ შემობრუნებულიყო, რუსებმა ხელიდან გაუშვეს.

**- მაგრამ კადიროვი იქაა. რა გაძლევთ ასეთი დასკვნის საფუძველს?**

- საქმე ისაა, რომ დღეს რუსეთთან დაკავშიებით დამოკიდებულება იცვლება. ქვეყნები, ხალხები ვითარდებიან და არა მარტო ტექნიკური თვალსაზრისით. ამ ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებამ ის მოიტანა, რომ ისინი აღარასოდეს დათანხმდებიან სხვანაირ ცხოვრების წესს. ტენდენცია, რუსეთი რომ უნდა დატოვო და დასავლეთს დაუხალოვდე, უკვე სხვა გამზომილებაში გადავიდა. ცხადია, ამ ყველაფრის მიზეზი რუსეთში გამეფებული უკანონობა და უსამართლობაა. ამდენი ნავთობის რეზერვი, ამდენი ოქრო, სასარგებლო წიაღისეული, მაგრამ მთელი ამ სიმდიდრით ხალხი ვერ სარგებლობს - როგორც თავად რუსები იტყვიან, " Œ Œ ". რუსეთმა ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე თავადვე "მოახერხა", რომ თავისივე სახელმწიფოებრიობა ეჭვქვეშ დაეყენებინა. დღეს რუსეთი ერთი დიდი ყამირია, გარშემორტყმული მის სიმდიდრეებზე მოშურნე სხვა ქვეყნებით. ასე რომ, რუსეთის რღვევა მხოლოდ დროის საკითხია.

**- თუ რუსეთი დემოკრატიის აშენების სურვილის მქონე ქვეყნებითაა გარშემორტყმული, ამ ქვეყნებში კადიროვის ჩეჩნეთიც იგულისხმება - თუნდაც იდეის დონეზე?**

- ჩეჩნეთი უკვე აღარ არის რუსეთი. ამას აღიარებს ყველა, ვინც პოლიტიკურ პროცესებს რეალურად აფასებს. ჩეჩნეთში რუსეთის კანონები არ მოქმედებს და ხალხი ახლა თავის გადარჩენაზე ფიქრობს. ჩვენ გადავიტანეთ უმძიმესი ომები და დავკარგეთ მოსახლეობის ერთი მესამედი. კადიროვი აღარავის არ ანაღვლებს.

**- როგორ გესახებათ ჩეჩნეთის მომავალი?**

- ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრს ვმსჯელობთ და ასე გვგონია, რომ გაერთიანებული, კონფედერაციული სახელმწიფო ჩრდილოეთ კავკასიაში ყველასთვის მისაღები უნდა იყოს. დიდი ჯავრით ვუყურებთ საქართველოს. საუკუნეთა მანძილზე თქვენი ქვეყანა ერთადერთი იყო კავკასიაში, რომელიც კავკასიის მრავალრიცხოვან ეთნოსებს თავის თავში იკრავდა - ისე, როგორც ნაკადულებს მდინარე. სამწუხაროდ, დღეს ეს ასე აღარ არის. არადა, საქართველოში ყოველთვის იყო ადგილი სხვადასხვა ერებისთვის, მათი კულტურებისთვის და იქ ყველა კარგად გრძნობდა თავს. მაგრამ რუსეთმა საქართველოც ფეხქვეშ გათელა და სულ სხვა კალაპოტში მოაქცია. ჩემი და ჩემი მეგობრების დაბეჯითებული აზრია, რომ საქართველოს ვერც ამერიკა და ვერც ევროგაერთიანება ვერ უშველის. საქართველო უნდა დაბრუნდეს იმ კალაპოტში, სადაც ის ისტორიულად იმყოფებოდა. შესაძლებლოა, ეს სისხლის ფასადაც დაგიჯდეთ, მაგრამ სხვანაირად არ გამოდის. ერთ უბრალო მაგალითს მოვიტან: თუ საქართველოს დღევანდელი პარლამენტი მოახდენს იმ დადგენილების რატიფიცირებას, რომელიც 1992 წლის 12 მარტში ჩეჩნეთში ჩატარებულ გასვლით სესიაზე მიიღეს, ამით საქართველო ხმამაღლა მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემების მოგვარებაა. განაცხადონ, რომ მათ ჩეჩნებთან ერთად უნდათ ყოფნა, მაშინ რუსეთი რაღას იზამს? რუსეთი, რასაკვირველია, განგაშს ატეხს, რომ რომ საქართველო ვაჰაბიტებს და ისლამურ ტერორისტებს უჭერს მხარს, მაგრამ ვერაფერსაც ვერ გააკეთებს. საქართველოს ჰგონია, რომ დიდ პოლიტიკაშია" ჩართულია, თუმცა ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. თუ საქართველოს მართლა უნდა, რომ პოლიტკურ არენაზე სერიოზული მოთამაშე გახდეს, უნდა გაბედოს და თქვას, რომ დღეს ჩეჩნეთის დამოუკიდებლობს ცნობს, ხვალ - დაღესტნის და ასე შემდეგ.

**- მაგრამ საქართველო დღეს უაღრესად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ჩეჩნეთშს კი კადიროვი მართავს. არსებობს კი რესურსი ასეთი ქმედებებისათვის?**

- დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს! საქართველო, როგორც სახელმწიფო, უკვე შედგა და არავინ არ დაუშვებს, რომ ევროპის ცენტრში ქრისტიანულმა სახელმწიფომ არსებობა სეწყვიტოს. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, ამას რუსეთიც არ დაუშვებს.

**- ცოტა გადამეტებულად ხომ არ აფასებთ მოვლენებს?**

- ეს იმიტომ, რომ დღეს საქართველო არასწორ ნაბიჯებს დგამს. მარტო ბურჯანაძის ფაქტორი რად ღირს! საქართველოს აქვს რესურსი, მაგრამ ამ რესურსით სარგებლობის უფლებას რუსეთს უთმობს და სათავისოდ არ იყენებს. რუსეთი კი უკან არაფერზე არ იხევს, უხეშად, რომ ვთქვათ, ყველა პედალს იყენებს, საქართველო კი დუმს.

**- ბოლო დროს ევროპაში გახშირდა შეხვედრები, სადაც აქტიურად მონაწილეობენ თურქი და ჩერქეზი მეცნიერები, რომლებიც პანთურქულ ინტერესებს იცავენ. მართალია, თქვენ მათ გვერდით არ მოიაზრებით, მაგრამ კონტაქტები თუ გაქვთ მათთან? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ხშირად ძალიან ჭირს იმ მარცვლის აღმოჩენა, რომელიც კავკასიელი ხალხების ურთიერთობას ჯანსაღ ნიადაგზე აღმოცენებას შეუწყობს ხელს ...**

- საქმე ისაა, რომ მთელ მსოფლიოში გაბნეული ჩერქეზული დიასპორა სინამდვილეში დეკორატიულ ხასიათს ინარჩუნებს, რადგან ჩერქეზები, სამწუხაროდ, სხვა ხალხებთან არიან ასიმილირებული და უმთავრესად რუსეთის ან თურქეთის ინტერესებს გამოხატავენ. დღეს ევროპაში ძალას იკრებს ჩრდილო კავკასიელი ხალხების დიასპორისაგან დაკომპლექტებული პოლიტიკური ძალა, სადაც გაერთიანებულია დაახლოებით 200 000 ჩეჩენი, 10 ათასობით დაღესტნელი და შედარებით ნაკლები ინგუში. ეს ის ძალაა, რომელსაც ევროპელები იმიტომ დაეყრდნობიან, რომ ჩვენ ცივილიზირებულ სამყაროში კავკასიელების ინტეგრირებას ვუწყობთ ხელს. უკვე ინტენსიურად იდგმება გარკვეული ნაბიჯები, სხვათა შორის, რუსეთის მიმართულებითაც, რომ ეს ძალა კალაპოტში მოექცეს. სამწუხაროდ, საქართველო არც ამ მოძრაობაშია ჩართული, რაც დიდი შეცდომაა. არადა, ერთი კვირით ადრე, სანამ რუსეთი საქართველოს თავს დაესხმებოდა, ვხვდებოდი, რომ ქართველების თავს უბედურება დატრიალდებოდა. ჩვენი დიასპორის სახელით წერილიც კი მივწერე საქართველოს ელჩს გერმანიაში. არანაირი პასუხი არ მიგვიღია.

**- გეთანხმებით, დიპლომატიური პასუხის გაცემა ყოველთვის შესაძლებელია. როგორ ფიქრობ, როგორ უნდა ჩაერთოს საქართველო ამ მოძრაობაში, რასაც აქ, ევროპაში მყოფი ჩრდილო კავკასიური გაერთიანებები აწყობენ?**

- არავისათვის არ არის საიდუმლო, რომ საბჭოთა კავშირის 240 მილიონიან მოსახლეობაში, ქართულ კინემატოგრაფიას, ქართულ ლიტერატურას სრულიად განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ვერასოდეს დავივიწყებ იმ დღეებს, როცა ეკრანებზე დათა თუთაშხია" გადიოდა, მთელს საბჭოთა კავშირში ქუჩები იყო დაცარიელებული. რა დაემართა ამ ნიჭიერ ხალხს? თქვენ ხომ შეგიძლიათ კავკასიის გაერთიანება საქართველოს გარშემო!

**- იდეალურ სურათს ხატავთ: ცენტრში ძლიერი საქართველო და გარშემო თავისუფალი ქვეყნები ერთ გაერთიანებაში...**

- რატომაც არა?! ეს არის იდეა, რის გარშემოც უნდა მოხდეს ჩვენი გაერთიანება. გარდაიცვალა გოდერძი ჩოხელი, ჩემი მეგობარი... დაგვრჩა განუხორციელებელი პროექტები. ერთ-ერთი არის სცენარი ჩეჩნეთზე და საქართველოზე. სწორედ ასეთი პროექტები უნდა იყოს ამ იდეის მკვებავი, რასაც, რასაკვირველია, ერთობლივი ძალისხმევა სჭირდება.

**- და ჩვენც ამ იდეას უნდა ვემსახუროთ...**

- დიახაც, უნდა ვემსახუროთ! სააკაშვილმა, ყველა მინუსის მიუხედავად, შექმნა ახალი საქართველო, ისეთი, რომლის გაგება ცივილიზირებულ სამყაროს შეუძლია. აი, ეს არის ყველაზე დიდი დარტყმა, რომელიც მან რუსეთს მიაყენა.

**- ამ სიტყვების გამო საქართველოში ბევრი ოპონენტი გამოგიჩნდებათ. როგორ უყურებლ საქართველოში განვითარებულ შიდა პოლიტიკურ მდგომარეობას?**

- სააკაშვილი არც ღმერთია და არც წინასწარმეტყველი, მაგრამ ისინი, ვისაც მისი ჩამოგდება უნდათ, შეძლებენ კი იმდენივე გაკეთონ, რაც სააკაშვილმა გააკეთა? ქვეყანა, რომელიც მან შევარდნაძისაგან ჩაიბარა, არაფრით არ განსხვავდებოდა რუსეთის გუბერნიებისაგან. მინდა ვურჩიო სააკაშვილის დღევანდელ ოპონენტებს, რომლებიც, სხვათა შორის, იმ თავისუფლებით სარგებლობენ, რაც ასევე სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს მოუტანათ: ნუ არყევენ ნავს! ამ ნავში ჩვენ ყველანი ერთად ვსხედვართ.

*ესაუბრა მარიკა ლაფაური*
*საზოგადოება ლილეს"*
*თავმჯდომარე*

# საქართველოს ბანკმა მიკროსესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეამცირა

სალომე ძაძამია

საქართველოს ბანკმა მიკროსესხებზე საპროცენტო განაკვეთი 20%-მდე დაწია. ხსენებული საპროცენტო განაკვეთი ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. სესხის ყველა სხვა პირობა და სესხზე განაცხადის მიღება არ შეცვლილა. მიკროსესხების მოცულობა 500 აშშ დოლარიდან 150.000 აშშ დოლარამდე განისაზღვრება.

საქართველოს ბანკმა მიკროდაკრედიტების ყოველთვიური ლიმიტი 5 მილიონი ლარიდან 12.5 მილიონ ლარამდე გაზარდა. ბანკმა ეს გადაწყვეტილება ხსენებულ სექტორში რისკების შემცირებასთან და ბანკის მაღალი, ჭარბი ლიკვიდობის არსებობასთან დაკავშირებით მიიღო.



საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორი ირაკლი გილაური აცხადებს, რომ ბანკს ჰქონდა ზრდა დეპოზიტების კუთხით, როგორც მაისში, ისე - ივნისში. კერძოდ, ფიზიკური პირების დეპოზიტები მაისში 10 მილიონი ლარით გაიზარდა, ხოლო ივნისში 13 მილიონი ლარით.

ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება მიკროსესხების მიმართულებით გაგვეზარდა ყოველთვიური დაფინანსების ლიმიტი. ლიმიტი გაიზარდა 5 მილიონი ლარიდან 12 მილიონ ნახევარ ლარამდე და საპროცენტო განაკვეთიც შეიცვალა 24-ის ნაცვლად 20%-ია. ეს გადაწყვეტილება მივიღეთ იმის საფუძველზე, რომ ვხედავდით შემცირებულ რისკებს მიკროდაფინანსების კუთხით და მაკროეკონომიკური აქტივობის ზრდას. ჩვენი მოლოდინია, რომ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი დაიწევს სექტემბრიდან. როცა ფულის მასა იზრდება ეკონომიკაში ფულის ფასი დაიწევს.

ჩვენი პრიორიტეტი ჯერ დეპოზიტებია. განვაგრძობთ იპოთეკური სესხების გაცემას, თვეში 5-6 მილიონი ლარის იპოთეკურ სესხს გავცემთ. მოსალოდნელია, რომ ეს მაჩვენებელი გაიზარდოს, თუმცა ამ ეტაპზე საგრძნობი ზრდა არ მოხდება.

აგრეთვე, განვიხილავთ მერიის პროექტს სამშენებლო კომპანიებთან დაკავშირებით, ცალსახად კარგი პროექტია. ჯერჯერობით რა თანხის გაცემა მოხდება ჩვენი მხრიდან, ამ ეტაპზე ვერ გეტყვით, რადგან ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიგვიღია. რაც შეეხება ვადაგადაცილებულ სესხებს, ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა შემცირებამდე 2%-ის ფარგლებში მერყეობდა თუმცა გაიზარდა და ახლა 4.7%-მდეა. საერთო ჯამში, პოზიტიური სურათი გვაქვს, ჩვენ გვინდა რომ კიდევ უფრო დავაკვირდეთ არსებულ მდგომარეობას და სექტემბერში მივიღოთ გადაწყვეტილებები. მიკროდაფინანსებაზე მარტივი იყო გადაწყვეტილების მიღება იმიტომ, რომ ვადაგადაცილებული სესხები მცირეა. დაკრედიტების მოთხოვნაც არის ამ კუთხით და ჩვენც ბუნებრივია ამ მოთხოვნას ვუპასუხეთ. თუ ასეთი აქტივობა გაგრძელდა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებას გავზრდით.

# "ნაბუკო"-ს პროექტმა ფინანსური მხარდაჭერა მიიღო

თინა შავაძე

სამთვარობო მოლაპარაკებების შემდეგ, გუშინ ოფიციალურად გაირკვა, რომ "ნაბუკოს" პროექტის განხორციელებისთვის ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა 3 მილიარდ დოლარზე მეტი გამოყო. პროექტის განხორციელების პირველი სტადიისთვის აღნიშნული თანხა სრულიად საკმარისია. მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა: "ამ პროექტთან დაკავშირებით ორი მთავარი შეკითხვა ისმოდა: პირველი - როგორ მოხდებოდა თურქეთის ტრანზიტზე მოლაპარაკება და მეორე - არსებობდა თუ არა კასპიის რეგიონში "ნაბუკოს" პროექტის განხორციელებისთვის საკმარისი გაზი. ბოლო დღეების განმავლობაში ორივე შეკითხვას გაეცა პასუხი - თურქეთი იქნება ტრანზიტული ქვეყანა და გარკვეული პირობების გათვალისწინებით ბუნებრივ აირს ევროპაში გაუშვებს, და ასევე "ნაბუკოს" პროექტს თურქმენეთი შეუერთდება.

თურქმენეთში საქართველოს მთავრობის დელეგაცია იმყოფებოდა. შეხვედრებზე დადასტურდა, რომ თურქმენეთი იმ რაოდენობის გაზს გამოყოფს, რამდენიც საჭირო იქნება და რამდენიმე თვეში შესაბამისი ხელშეკრულება საქართველოსთანაც დაიდება. გილაურის პროგნოზით "ნაბუკოს" განხორციელება უკვე რეალური გახდა და მისი რეალიზაცია უახლოეს მომავალში დაიწყება.

ანკარაში ხელმოწერილ "ნაბუკოს" პროექტთან დაკავშირებით განცხადებას ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყანა - შვედეთის სამეფოც აკეთებს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა გულითადად ულოცავს მხარეებს "ნაბუკოს" გაზსადენის თაობაზე მთავრობათაშორისი შეთანხმების ხელმოწერას. "ევროკავშირისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ენერგომიწოდების უსაფრთხოების გაზრდა. ამ მიმართულებით გადამწყვეტ როლს ასრულებს კარგად ფუნქციონირებადი ევროპული ენერგობაზარი, რომელიც ხასიათდება ენერგოწყაროების, საწვავისა და მიწოდების გზების დივერსიფიკაციით. 2009 წლის მაისში სამხრეთ კორიდორის პრაღის სამიტის მონაწილეთა მხრიდან დაფიქსირებული პოზიციის შესაბამისად, "ნაბუკოს" შეთანხმების ხელმოწერა წარმოადგენს კონკრეტულ ნაბიჯს სამხრეთ კორიდორის კონცეფციისა და მომხმარებელთა, მწარმოებელთა და სატრანზიტო სახელმწიფოებისათვის მოგების მიღების უზრუნველსაყოფად ენერგოსფეროში გაღრმავებული თანამშრომლობის რეალიზაციის თვალსაზრისით. ენერგოუსაფრთხოება ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, რომელთან მიმართებაშიც ევროკავშირსა და თურქეთს თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით საერთო სტრატეგიული ინტერესები აქვს," - აღნიშნულია განცხადებაში.

3 300 კილომეტრი სიგრძის გაზსადენი, თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და უნგრეთის გავლით, გაზის კასპიის ზღვის რეგიონიდან ავსტრიის მიმართულებით მიწოდებას უზრუნველყოფს. გაზსადენის ამოქმედების შემდეგ საქართველოს ტრანზიტის საფასურად 1.6 მილიარდი კუბ.მ. გაზი დარჩება. ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური ამბობს: "ნაბუკოს" პროექტის განხორციელების შედეგად საქართველოზე გაივლის 16 მილიარდი კუბ.მ. გაზი ტრანზიტად, დღეს მოქმედი "შახდენიზის" ხელშეკრულებების თანახმად კი, საქართველო მიიღებს გაზის 5 პროცენტს - ტრანზიტის საფასურად და კიდევ 5 პროცენტს - შეღავათიან ფასად, რაც საერთო ჯამში 1 მილირდ 600 მილიონი კუბ.მ. გაზი გამოდის. ეს საქართველოსთვის ძალიან ხელსაყრელი და მნიშვნელოვანი პროექტია.1 მილიარდ 600 მილიონი კუბ.მ. არის საქართველოს გაზის მოხმარების დღევანდელი ოდენობა. 2014 წლისთვის საქართველოს გაზის მოხმარება გაიზრდება, რადგან გაცილებით მეტად იქნება განვითარებული ეკონომიკა. დარწმუნებული ვარ, "ნაბუკოს" პროექტიდან საქართველოსთვის დარჩენილი გაზის მოცულობა საქართველოს მოხმარების დიდ ნაწილს დაფარავს."

# ISET-მა ეკონომიკის მაგისტრების მეორე ნაკადი გამოუშვა

სალომე ძაძამია

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ ეკონომიკის მაგისტრების მეორე ნაკადი გამოუშვა. ISET-ში ორწლიანი სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ ოცმა სტუდენტმა მაგისტრის წოდება მიიღო.

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის - ზურაბ ჟვანიას ინიციატივით შეიქმნა. მან მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს თხოვნით მიმართა, დახმარებოდა კონკურენტუნარიანი, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ეკონომიკური სამაგისტრო პროგრამის დაარსებაში. 2006 წელს მსოფლიო ბანკის, BP-ის, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ფონდის ღია საზოგადოება (OSI), შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს და საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით დაარსდა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა.

ISET-ის სტუდენტების ნაწილი უკვე დასაქმებულია როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. 6 სტუდენტი სწავლას საზღვარგარეთ, დოქტორანტურაში გააგრძელებს სრული დაფინანსებით.

ISET-ის სტუდენტებით უკვე დაინტერესდა ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანიაც, რომელმაც სტუდენტებს სამინისტროში ორთვიანი სტაჟირება შესთავაზა. ასევე, ქართული ბიზნესის წარმომადგენლებმა სურვილი გამოთქვეს, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კურსდამთავრებულებთან ითანამშრომლონ.

ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანია: ჯერჯერობით ISET-ი მთელს კავკასიის რეგიონში ერთადერთი სკოლაა, რომელიც მაღალი კვალიფიკაციის კადრებს ამზადებს. სტუდენტები ისეთ განათლებას ღებულობენ, რომელიც ჩვენს ქვეყანას და, კერძოდ, ეკონომიკას ახლა ძალიან სჭირდება. მე შევთავაზე სტუდენტებს, გაიარონ ორთვიანი სტაჟირება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, რომელიც მრავალპროფილიანი სამინისტრო გახლავთ და მათგან საუკეთესოები ჩვენი თანამშრომლები გახდებიან.

წელს უკვე ISET-მა სტუდენტების მეორე ნაკადი გამოუშვა. ძალიან მნიშვნელოვანია ISET-ის როლი ქართული ეკონომიკის განვითარებაში. ჩვენი პირველი გამოშვებიდან ყველა სტუდენტი დასაქმებულია სახელმწიფო და კერძო სექტორში. უკვე სერიოზული შედეგები გვაქვს. სახელმწიფო სტრუქტურები გვთავაზობენ, რომ ჩვენმა სტუდენტებმა გაიარონ სტაჟირება ამა თუ იმ დაწესებულებაში, შემდეგ კი უმრავლესობა მათი თანამშრომელი ხდება. ISET-ისთვის სახელმწიფოს მხარდაჭერას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, - განაცხადა ISET-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ერიკ ლივნმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გია ხუბუა: ISET-ის კადრები გამოირჩევიან მაკროეკონომიკური ცოდნით და საინტერესონი არიან ქართული ეკონომიკისათვის, არა მხოლოდ ბიზნესსექტორისათვის, არამედ ზოგადად ეკონომიკისათვის, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორისათვის. ეს არის ერთადერთი სკოლა მთელს სამხრეთ კავკასიაში, სადაც ახალგაზრდა მაგისტრანტმა შეიძლება მიიღოს ყველაზე მაღალი, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლება. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში ლექციებს კითხულობენ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორები და პროგრამა შეესაბამება ყველაზე მაღალ სტანდარტებს, რაც კი დღეს მსოფლიოში მოქმედებს. ISET-ი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროექტს სერიოზული დონორები ჰყავს მსოფლიო ბანკის, BP-ის, ღია საზოგადოების , შვედეთის განვითარების სააგენტოს სახით.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა ეკონომიკური კრიზისის პირობებში ვიმყოფებით და ბევრი კომპანია ამცირებს თავის პერსონალს, კარგი კადრების დეფიციტი ყოველთვის არის. დღევანდელ სიტუაციაშიც, როგორც კი ბაზარზე კარგი კადრი გამოჩნდება და შესაძლებელია მისი აყვანა, ჩვენს კომპანიაში ამ ვითარებაშიც კი ვამატებთ კადრებს. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ ISET-ის კურსდამთავრებულები ჩვენი თანამშრომლები გახდნენ, - აღნიშნა თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ბადრი ჯაფარიძემ.

სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე ჯემალ ინაიშვილი: ქართულ ეკონომიკას ყოველთვის დასჭირდება განათლებული, კარგი სპეციალისტები და სწორედ ISET-ია ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა მთელს ამიერკავკასიაში, სადაც მაღალი დონის პროფესიონალი კადრები მზადდება.

საადვოკატო ბიურო

გაგიწევთ კვალიფიციურ

კონსულტაციასა და მომსახურებას

სისხლის სამართალი

სამოქალაქო სამართალი

ადმინისტრაციული სამართალი

მის: ხიზანიშვილის 37

(მეტრო" ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორია)

ტელ: 8(22) 588108

858 418945 ქეთევან ქურასბედიანი

## ნინო ბურჯანაძის სარჩელზე სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით, ნინო ბურჯანაძის სარჩელი, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 იანვრის N2 განკარგულების ბათილად ცნობისა და მისთვის სახელმწიფო დაცვის დანიშვნის შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა. სარჩელის ერთადერთ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ნორმა, რომლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ახალი მოწვევის პარლამენტის ვადით, უზრუნველყოფილია სამსახურებრივი მანქანით და სახელმწიფო დაცვით. თუმცა, ხსენებული უფლებებით საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე აღჭურვილია მხოლოდ მაშინ, როცა იგი იმავდროულად ახალი მოწვევის პარლამენტის წევრია. გარდა ამისა, ყოფილი თანამდებობის პირებისთვის სახელმწიფო დაცვის დანიშვნის საკითხები დარეგულირებულია სპეციალური კანონით - "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ", რომლითაც აღნიშნული პირებისათვის სახელმწიფო დაცვის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტა საქართველოს პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა. ამ მოტივაციით იქნა მიღებული სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემიდან 14 დღის ვადაში.

*საკუთარი ინფორმაცია*

## "სითი პარკი" მოქალაქეებს უკანონოდ აჯარიმებს

*არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი" აპროტესტებს შპს "სითი პარკის" მიერ მოქალაქეების უკანონოდ დაჯარიმების ფაქტებს.*

ორგანიზაციამ გაარკვია, რომ "სითი პარკი" არასწორი პარკირების გამო ევაკუირებული ავტომანქანების მძღოლებს კანონის დარღვევით აჯარიმებს. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის პირველი დათქმის მიხედვით, "სითი პარკის" თანამშრომლებს აქვთ კანონიერი უფლება, გადაიყვანონ ამკრძალავი ნიშნის ქვეშ მდგომი ავტომობილი შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, მაგრამ, მძღოლის მიერ პირადობის მოწმობის და მართვის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან, დაუყოვნებლივ გადასცენ მესაკუთრეს მის საკუთრებაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება.

კანონი არ უწესებს მოქალაქეს არც ჯარიმის გადახდის ვადას და არც შეზღუდვას - ჯერ გადაიხადოს ევაკუირების თანხა და შემდეგ წაიყვანოს კუთვნილი ავტომობილი. ორგანიზაციის განცხადებით, მიუხედავად ამისა, "სითი პარკი" კანონის დარღვევით მძღოლებს არ აძლევს საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის უფლებას, სანამ არ გადაიხდიან ჯარიმის თანხას - 10 ლარს და ავტომობილის ევაკუირების თანხას - 60 ლარს. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის" განცხადებით, ამ ქმედებით ირღვევა მოქალაქეების საკუთრების უფლება, რადგან ისინი ვერ ახდენენ მათ მფლობელობაში მყოფი ნივთის გამოყენებას.

ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, კანონში არსად არის მითითებული, რომ "სითი პარკის" წარმომადგენლებს აქვთ 60-ლარიანი ჯარიმის, როგორც კანონით გათვალისწინებული სავალდებულო გადასახადის, ამოწერის და მისი გადაუხდელობის შემთხვევაში, მანქანის დაპატიმრების უფლება.

"კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი" მოუწოდებს ყველა მძღოლს, ნუ გახდებიან უკანონობის მსხვერპლი, მათ უფლება აქვთ ჯარიმის და ევაკუირების თანხის გადახდამდე, მხოლოდ პირადობის და მართვის მოწმობის წარდგენის საფუძველზე, საჯარიმო სადგომიდან გამოიყვანონ და ისარგებლონ საკუთარი ავტომობილებით.

*საკუთარი ინფორმაცია*

## ევროსასამართლომ გოლფის ფედერაციის პრეზიდენტის საქმე რეგისტრაციაში გაატარა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა და შესაბამისი ნომერი მიანიჭა გოლფის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ რატიშვილის საქმეს, რომელიც, საქართველოს სახელმწიფოს მის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-6 (სამართლიანი სასამართლოსადმი მიმართვისა უფლება), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-13 მუხლების (სამართლიანი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) დარღვევაში ადანაშაულებს.

ევროსასამართლოში მერაბ რატიშვილის ინტერესებს იცავს ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი". როგორც "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლები აცხადებენ, ევროკონვენციის მუხლების დარღვევა გამოიწვია სახელმწიფო ორგანოების მხრიდან არაკანონიერმა ქმედებებმა.

ორგანიზაციის განცხადებით, რატიშვილის დაკავებისას პოლიციამ გამოიჩინა მის მიმართ ღირსების შემლახველი და დამამცირებელი მოპყრობა. მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და მისი ჯანმრთელობისათვის სახიფათო ნარკოტიკული ნივთიერება ძალის გამოყენებით შეუყვანეს ორგანიზმში (მე-3 მუხლი).

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატების თქმით, საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო პროცესი წარიმართა არაობიექტურად, ცალმხრივად და მიკერძოებულად. განმცხადებელი გახდა სახელმწიფოს მხრიდან დევნის მსხვერპლი პოლიტიკური შეხედულებების გამო. ეროვნულ დონეზე სასამართლომ არ იმსჯელა და განაჩენში სათანადო შეფასება არ მისცა დაცვის მხარის მიერ წარდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს, კერძოდ, საქმეში არსებულ საპროცესო დარღვევებს, რამაც განაპირობა რატიშვილის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა (მე-6 მუხლი).

მერაბ რატიშვილს ქართულმა სასამართლომ 9 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

*საკუთარი ინფორმაცია*

## უზენაესმა სასამართლომ შპს "არტის" სარჩელი დააკმაყოფილა

*უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მოსამართლეებმა შპს "არტის" სარჩელი დააკმაყოფილეს. სასამართლო დავა 2003 წლის 23 აპრილს დაიწყო, როდესაც შპს "არტიმ" თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.*

როგორც უზენაეს სასამართლოში განმარტავენ, მოსარჩელის განმარტებით, შპს "არტი" წარმოადგენდა კომპანია "პროქტერ ენდ გემბელის" ოფიციალურ დისტრიბუტორს საქართველოში და ამ კომპანიის ნაწარმს ქვეყნის მასშტაბით ყიდდა. შპს "არტის" საქართველოში რამდენიმე ფილიალი გააჩნდა, მათ შორის იყო ფილიალი ქალაქ ბათუმში, საიდანაც 2002 წლის განმავლობაში შპს "არტიმ" მიიღო მთელი რიგი პროდუქცია, რაზეც შედგა სათანადო ანგარიშ-ფაქტურები. აღნიშნულ ანგარიშ-ფაქტურებზე შპს "არტიმ" გადაიხადა დამატებული ღირებულების გადასახადი, როგორც ამას ადგენდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 96-ე მუხლის მე-9 ნაწილი. ზემოხსენებული ფილიალისთვის გადასახდელი დღგ-ს ჩასათვლელად შპს "არტიმ" მიმართა მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციას, სადაც იგი აღრიცხვაზე იმყოფებოდა, თუმცა ინსპექციამ უარი განუცხადა წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით გადახდილ დღგ-ს ჩათვლაზე, რადგან იგი არ ყოფილა გადახდილი საქართველოს ბიუჯეტში. 2003 წლის 16 აპრილს მოსარჩელემ მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციიდან მიიღო შეტყობინება, რომლის მიხედვითაც, შპს "არტის" ერიცხებოდა ბიუჯეტის დავალიანება ზემოხსენებული ანგარიშ-ფაქტურებით გადახდილი დღგ-ს ნაწილზე.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის განცხადებით, მოსარჩელის მოსაზრებით, მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის მიერ ანგარიშ-ფაქტურებით გადახდილ დღგ-ს ჩათვლაზე უარის თქმა და ამის გამო დავალიანების დარიცხვა ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს "არტის" სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2003 წლის 16 აპრილის შეტყობინება ვადაგადაცილებული დავალიანების შესახებ.

მოპასუხე მხარემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციებში გაასაჩივრა. საგადასახადო ორგანოები სააპელაციო და საკასაციო საჩივრებით სადავოდ ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ შპს "არტის" მიერ ანგარიშ-ფაქტურებთან ერთად ვერ იქნა წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებები, რაც დაადასტურებდა საქონლის მიწოდებას შპს "არტსა" და მის ფილიალებს შორის. შპს "არტიმ" სააპელაციო სასამართლოში წარმოადგინა ნაწილი სასაქონლო ზედნადებებისა, ხოლო მეორე ნაწილთან დაკავშირებით განიმარტა, რომ შპს "არტის" ოფისში გაჩენილი ხანძრის შედეგად ისინი განადგურდა.

საკასაციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა შპს "არტის" სარჩელი და საგადასახადო ორგანოებს დაავალა შპს "არტის" 247 685 ლარის გადასახადის გადახდისგან განთავისუფლება.

საქმე N2/2418-09

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ

13 ივლისი 2009 წელი ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძე**

**მოსარჩელე** - ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"

**წარმომადგენელი** - ფიქრია ზირაქაშვილი

**მოპასუხე** - ნათელა შუღლიაშვილი

**დავის საგანი** - დავალიანების ანაზღაურება

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

2009 წლის 31 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მომართა ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს წარმომადგენელმა ნ.ჩოხელმა მოპასუხე ნათელა შუღლიაშვილის წინააღმდეგ დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

სარჩელთან ერთად ს/ს ბანკ "რესპუბლიკა"-ს წარმომადგენლის მიერ დაყენებულ იქნა შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომელიც სასამართლოს 2009 წლის 01 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო ნათელა შუღლიაშვილის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას მდებარეს - ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მესამე მიკრო რაიონი, კორპუსი N8, ბინა N50.

2009 წლის 03 ივლისს ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს წარმომადგენელმა ფიქრია ზირაქაშვილმა განცხადებით მომართა სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის უკან გამოხმობისა და 01.04.2009წ. განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

სასამართლომ განიხილა რა ს/ს ბანკ "რესპუბლიკა"-ს წარმომადგენლის განცხადება მიაჩნია, რომ სარჩელის გამოხმობის თაობაზე შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831-ე მუხლის I ნაწილის თანახმად მოსარჩელეს უფლება აქვს გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს მიაჩნია, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან მოთხოვნა კანონიერ საპროცესო-სამართლებრივ საფუძველზეა დამყარებული, გამომდინარეობს სამოქალაქო სამართალწარმოებაში აღიარებული დისპოზიციურობის პრინციპიდან და მას არ ეწინააღმდეგება. შესაბამისად შუამდგომლობა დაყენებულია სწორად, მოსარჩელე მხარის ინიციატივით და მისსავე ინტერესებში, რის გამოც იგი დაკმაყოფილებული უნდა იქნეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991-ე მუხლის თანახმად სარჩელის დაკამყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის I ნაწილით, 831-ე, 1991-ე, 275-ე, 284-ე 285-ე, 425-ე, 426-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს სარჩელი მოპასუხე ნათელა შუღლიაშვილის მიმართ დავალიანების ანაზღაურების შესახებ დარჩეს განუხილველად;

2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 01 აპრილის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას მოპასუხე ნათელა შუღლიაშვილის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მდებარეს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დიდი დიღომი, მიკრო რაიონი III, კორპუსი N8, ბინა N50 (ზონა - თბილის - 01, სექტორი - საბურთალო - 10, კვარტალი - 08, ნაკვეთი 006/018, კოდი - 01/050, ფართი - 48.43 კვ.მ. დაზუსტებული ფართობი - 2928.00 კვ.მ. ნაკვეთის საკუთრების ტიპი - თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო-სამეურნეო, ნაკვეთის წინა N6, შენობა-ნაგებობები N1-დან N15-ის ჩათვლით).

3. ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს დაუბრუნდეს მის მიერ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით 2009 წლის 19 მარტს საბიუჯეტო შემოსულობების ერთიან ანგარიშზე N200 122 900, მიმღები ბანკი სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი N220 101 222, საბიუჯეტო შემოსავლების კოდი N300 773 150 გადახდილი თანხა - 169.62 (ას სამოცდაცხრა ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარი.

4. განჩინება (მათ შორის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ნაწილში) შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში განჩინების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 12 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით;

**მოსამართლე: ვლადიმერ კაკაბაძე**

## განცხადება

**2009 წლის 29 ივნისს გამოქვეყნებულ ტენდერის**
**გაცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2009 წლის 29 ივნისს გამოქვეყნებულ განცხადებაში უწყვეტი ელექტროკვების სისტემის (UPS) შესყიდვის მიზნით ტენდერის გამოცხადების შესახებ შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. განცხადების პუნქტი 1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**1. შესყიდვის ობიექტი:** უწყვეტი ელექტრო კვების სისტემა (UPS) შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით:

- სისტემა უნდა იყოს მოდულურ პრინციპზე აგებული;
- რეზერვირების სქემა N+1, შემდგომში ადვილად გაფართოების შესაძლებლობით;
- ერთი მოდულის ნომინალური სიმძლავრე - მინიმუმ 16 კვტ;
- საჭირო სიმძლავრე - მინიმუმ 32კვტ; გაფართოების შესაძლებლობით მინიმუმ 100 კვტ-მდე;
- გამომავალი დენი - პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ელექტროკვების განაწილების სისტემებს არსებული 2 ცალი Symmetra LX 16 KVA და ახალი უწყვეტი ელექტროკვების სისტემიდან სერვერებამდე;
- სარეზერვო კვებით უზრუნველყოფის დრო სრული დატვირთვისას - მინიმუმ 30 წუთი;
- სისტემას უნდა გააჩნდეს 6 არსებულ კარადაში ელექტროკვების, ტემპერატურის და ტენიანობის მონიტორინგის და მართვის ფუნქცია Web/App ინტერფეისით და SNMP;
- შესაბამისი სიმძლავრის გენერატორთან ინტეგრაციის ფუნქცია;
- მწარმოებელ ფირმას უნდა გააჩნდეს შემდეგი სერტიფიკატები: ISO 14001, ISO 9001.
- სტანდარტები: EN 50091-1,EN/IEC 62040-3,EN/IEC 62040-1-1
- დაცვის კლასი - IP 20 ან NEMA1

***- გამომავალი პარამეტრები***
- გამომავალი დენის სიხშირე - 50 Hz
- სიხშირის რეგულირების სიზუსტე: ± 0,1%;
- ძაბვის რეგულირების სიზუსტე: ± 1%;

***- შემავალი პარამეტრები***
- ნომინალური შემავალი ძაბვა (3 ფაზა) - 400V 3PH
- შემავალი სიხშირის დიაპაზონი - 40-65 ჰც;

- საგარანტიო ვადა - მინიმუმ ოთხი წელი;

- მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს სისტემის ინსტალაცია.

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია**

---

**Regional Capacity Building Initiative**

Supporting partner country participation in ENPI CBC Programmes 2007 - 2013

website: www.rcbi.info
email: info@rcbi.info

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**გაცნობებთ, რომ ა/წ 31 აგვისტოს თბილისში და 1 სექტემბერს ბათუმში პროექტი: "რეგიონული შესაძლებლობათა განვითარების ინიციატივა" (RCBI) გამართავს კითხვა-პასუხის საინფორმაციო შეხვედრებს შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროგრამის მიმდინარე კონკურსის მონაწილეთათვის.**

ინფორმაცია შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროგრამის (Black Sea CBC) მიმდინარე კონკურსის შესახებ იხ. ვებ-გვერდზე: http://www.blacksea-cbc.net

საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შეავსონ კითხვარი, რომელიც განთავსებულია სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ვებ-გვერდზე **www.csrdg.ge**, და გადმოგზავნონ ა.წ. **23 აგვისტომდე** ელ-ფოსტით მისამართებზე: **liatodua@csrdg.ge** ან **tamar@csrdg.ge** ან ფაქსით: +995 32 399018/9.

MWH
BUILDING A BETTER WORLD

This project is funded by the EU

and implemented by a consortium led by MWH

---

## განცხადება

**შპს გზამშენი - 4** აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის, მდებარე ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №247, სადგური ველის მიმდებარედ - **ასფალტის ქარხნის** საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე - საწარმოში, ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №247, სადგური ველის მიმდებარედ და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტში (გულუას ქ. №6).

საჯარო განხილვა მოეწყობა საწარმოს ტერიტორიაზე, ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №247, სადგური ველის მიმდებარედ, 2009 წლის 31 აგვისტოს, 14.00 საათზე.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ **შპს გზამშენი - 4 ადმინისტრაციას.**

**შპს გზამშენი - 4 ადმინისტრაცია**

---

**(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)**

სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ ევროკავშირის გრანტით (NTACIS/2007/147562) დაფინანსებული "პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშემწყობი პროექტის" ფარგლებში **ექიმებისა და ექთნებისათვის სასწავლო მოდულების ორგანიზებისა და ჩატარების უზრუნველყოფისათვის მომსახურების შესყიდვის მიზნით,** 2009 წლის 23 მაისს გამოცხადებული ტენდერის I და III ლოტზე გამარჯვებულად გამოვლინდა სს "აკად. ო.ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი", II ლოტზე - კავშირი "ადამიანი და ბუნება", IV ლოტზე - შპს "საოჯახო მედიცინის რეგიონალური ცენტრი".

---

## სატენდერო განცხადებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ (2009 წლის 30 ივნისის, გაზეთი "24 საათი" N145) გამოცხადებულ ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში საგანმანათლებლო დაწესებულებების გადახურვითი და ფანჯრების გამოცვლითი სამუშაოების შესყიდვის*** შესახებ სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

2. შევიდეს ცვლილება მე-5 და მე-9 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების და სატენდერო წინადადების მიღება ნაცვლად 2009 წლის 20 ივლისისა მოხდეს 2009 წლის 27 ივლისს 10 სთ-დან 15 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი N3.

3. სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები და პუნქტები რჩება უცვლელი.

---

## სატენდერო განცხადებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ (2009 წლის 1 ივლისი, გაზეთი "24 საათი" N146) გამოცხადებულ ***ქ. ზუგდიდში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის გადახურვითი სამუშაოების შესყიდვის*** შესახებ სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

2. შევიდეს ცვლილება მე-5 და მე-9 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების და სატენდერო წინადადების მიღება ნაცვლად 2009 წლის 20 ივლისისა მოხდეს 2009 წლის 27 ივლისს 10 სთ-დან 12 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი N3.

3. სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები და პუნქტები რჩება უცვლელი.

---

**ქ. თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 1 ივლისს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, გზის სავალი ნაწილის გაფართოების, ტერიტორიების კეთილმოწყობის და გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების**
**(5 ლოტიანი) (ცვლილება 07.07.09) სატენდერო განცხადებაში**
**ცვლილების შეტანის შესახებ**

ქ. თბილისის მერიის მიერ **2009 წლის 1 ივლისს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, გზის სავალი ნაწილის გაფართოების, ტერიტორიების კეთილმოწყობის და გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების (5 ლოტიანი) (ცვლილება 07.07.09)** შესყიდვის სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

**ბ) შესყიდვის ობიექტს დაემატოს ლოტი N6:**

**ლოტი N6 - ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის შენობასთან და ავტოსადგომთან მისასვლელი გზის საფარის კაპიტალური შეკეთების დამატებითი სამუშაოები.**

*გ) შესრულების სავალდებულო ვადა - ლოტი N6 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე;*

**დ) შეცვლილ იქნას გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი **ქ. თბილისში, გზის სავალი ნაწილის გაფართოების, ტერიტორიების კეთილმოწყობის და გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების (6 ლოტიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

**სატენდერო კომისია**

# ალ-კაიდა უიღურების სიკვდილის გამო ჩინელებზე შურისძიებას აპირებს



AFP ' 2009

საერთაშორისო ტერორისტულმა ქსელმა ალ-კაიდამ პირობა დადო, რომ ჩინეთის ავტონომიურ რაიონ სინძიან-უიღურში მომხდარი ეთნიკური კონფლიქტის დროს დახოცილი მუსლიმი უიღურების სიკვდილის გამო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე შურს იძიებს. ჩინური გაზეთი საუზ ჩაინა მორნინგ პოსტი" იტყობინება, რომ ალ-კაიდას გზავნილი ჯიჰადის ყველა მიმდევრისთვის არის განკუთვნილი. ბოევიკების თქმით, შურისძიების ობიექტი იქნება ასობით ათასი მიგრანტი, რომლებიც ჩრდილოეთ აფრიკაში მუშაობენ, მათ შორის, ალჟირში მყოფი 50 ათასი ჩინელიც.

ლონდონის სადაზვერვო ცენტრის მონაცმებით, მუქარის ავტორია ორგანიზაციის ალჟირის ქვედანაყოფი, სახელწოდებით ალ-კაიდა მუსლიმურ მაღრიბში." ექსპერტთა განცხადებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას უიღურები საერთაშორისო ტერორისტებთან კავშირში არაერთხელ დაუდანაშაულებია, თუმცა თავად ალ-კაიდამ ჩინეთში მიმდინარე მოვლენებზე ყურადღება პირველად გაამახვილა.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ტერორისტების მუქარა სერიოზულ მიდგომას იმსახურებს. გასულ კვირას ალჟირის სპეცსამსახურების დანაყოფზე თავდასხმით, რომელიც ჩინელ ინჟინრებს იცავდა, ბოევიკებმა ერთხელ უკვე მოახდინეს თავისი ძალის დემონსტრირება. შემთხვევის შედეგად ჩინეთის არც ერთი მოქალაქე არ დაშავებულა, სამაგიეროდ ტერორისტებმა 24 მცველი მოკლეს.

ცნობისათვის - არეულობათა ტალღამ ქალაქ ურუმჩიში 5 ივლისს იფეთქა. სკანდალის საბაბი უიღურებსა და ჩინელებს შორის მომხდარი ჩხუბი გახდა, რასაც ორი უიღურის სიკვდილი მოჰყვა. შედეგად ქალაქის ქუჩებში შეტაკებები და ხანძრები დაიწყო. ჩინურმა მასმედიამ მიმდინარე მოვლენებზე პასუხისმგებლობა უიღურების მსოფლიო კონგრესს" დააკისრა. კონფლიქტის შედეგად, საერთო ჯამში, 184 ადამიანი გარდაიცავალა. უკანასკნელი მონაცემებით, დაზარალებულია 1.6 ათასზე მეტი ადამიანი. ორშაბათს ქალაქის პოლიციამ ორი უიღური მოკლა, რომლებიც უწესრიგობის აღდგენას ცდილობდნენ.

ჩინეთის დასავლეთში მიმდინარე მოვლენებმა მასშტაბური საპროტესტო აქციების დაწყება გამოიწვია როგორც ევროპაში, სადაც უიღურთა დიდი დიასპორა ცხოვრობს, ისე ახლო აღმოსავლეთშიც. ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი დემონსტრაცია თურქეთში ჩატარდა. ინდონეზიელმა მუსლიმებმა, თავის მხრივ, ჯაკარტაში ჩინეთის საელჩოსთან მოაწყვეს პიკეტი და ჩინეთისთვის საღმრთო ომის გამოცხადება მოითხოვეს. ჩინეთს იუღურებთან ურთიერთობების მოწესრიგებისკენ პალესტინურმა მოძრაობა ჰამასმაც" მოუწოდა.

სიანძაინ-უიღურის ავტონომიური რაიონი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაქვემდებარების ქვეშ 1955 წელს გადავიდა. მის ტერიტორიაზე უიღურთა დიდი რაოდენობა ცხოვრობს. უიღურები ისლამისტური აღმსარებლობის თურქულენოვანი ხალხია. უიღურ ნაციონალისტებს შორის გავრცელებულია აზრი ჩინეთიდან გამოყოფისა და მუსლიმური სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ურუმჩიში, დაახლოებით, 1.5 მილიონი ჩინელი და 250 ათასი უიღური ცხოვრობს.

# სარა პეილინი: ნაბიჯი პრეზიდენტობისკენ თუ პოლიტიკური კარიერის დასასრული?

ივა შილაკაძე

რესპუბლიკური პარტიის ვიცე-პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატ სარა პეილინის განცხადება ალიასკის გუბერნატორის პოსტიდან ვადამდე წელიწადნახევრით ადრე გადადგომის შესახებ, პოლიტიკური მიმომხილველებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ამას მოჰყვა სპეკულაციების ზვავი მისი მომავალი გეგმების შესახებ.

ზოგიერთი ფიქრობდა, რომ 45 წლის პეილინი გეგმავს, კენჭი იყაროს სენატორად ალიასკის შტატიდან, ზოგიერთი უფრო შორს წავიდა და წინასწარმეტყველებდა, რომ ის აპირებს 2012 წელს საკუთარი კანდიდატურის დასახელებას პრეზიდენტის პოსტზე. გელაპის უკანასკნელმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ, თუ დამოუკიდებელი ამომრჩევლები და, მით უმეტეს, დემოკრატები მის მიმართ ცივად არიან განწყობილნი, რესპუბლიკელების 71 პროცენტი მზად არის, მხარი დაუჭიროს მის კანდიდატურას პრეზიდენტის პოსტზე.



AFP ' 2009

*რესპუბლიკური პარტიის ვიცე-პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი სარა პეილინი.*

პოლიტოლოგთა ნაწილი არ გამორიცხავდა, რომ პეილინი საერთოდ წავა პოლიტიკური არენიდან. როგორც ერთმა კომენტატორმა აღნიშნა, შეერთებულ შტატებში, დაახლოებით, 160 მილიონი ადამიანია, ვისი ასაკიც 36 წელზე მეტია ანუ აქვთ უფლება, 2012 წელს არჩეულ იქნენ პრეზიდენტად, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათი 99,9999 პროცენტი ასეთს არაფერა გეგმავს. იქნებ პეილინიც მათ რიცხვშია? ამ კითხვაზე გარკვეული პასუხი ჯერჯერობით არავის აქვს, შეიძლება თვით სარა პეილინისაც კი, მაგრამ გასულ უიკ-ენდზე მან ნათლად მიანიშნა, რომ დიდი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს.

პეილინი გუბერნატორის პოსტს 26 ივლისს დატოვებს და მმართველობას საკუთარ მოადგილეს გადააბარებს. როგორც მან კონსერვატიული გაზეთის "ვაშინგტონ ტაიმსისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ამის შემდეგ კი საკუთარი პროგრამის პროპაგანდას გეგმავს, რომელიც სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება - მთავრობის შეზღუდული როლი ქვეყნის ცხოვრებაში, თავდაცვის განმტკიცება და "ენერგეტიკული დამოუკდებლობა". ის აპირებს, აგიტაცია გაუწიოს არა მხოლოდ რესპუბლიკელ პოლიტიკოსებს, არამედ კონსერვატორ დემოკრატებსაც . "მე მხარს დავუჭერ მთელ ქვეყანაში სწორად მოაზროვნე პოლიტიკოსებს, მათი პარტიული კუთვნილების მიუხედავად," - განაცხადა პეილინმა. იგი ამერიკელებში სხვადასხვა გრძნობებს იწვევს - მხურვალე თაყვანისცემიდან ცხოველურ სიძულვილამდე, მაგრამ შეუძლია ხალხის უფრო დიდი მასის შეკრება, ვიდრე ნებისმიერ სხვა პოლიტიკოსს, ბარაკ ობამას გარდა. "ხალხი დაიღალა პარტიული დაპირისპირებისგან, - შენიშნა მან. რესპუბლიკელი ჩემი შვილიც კი არ არის". მისი 20 წლის შვილი ტრეკი, რომელიც ერაყში რიგით ჯარისკაცად მსახურობს და ქმარი ტოდი საარჩევნო კომისიაში უპარტიოებად არიან რეგისტრირებულნი.

დღეს რესპუბლიკელები ბევრ შტატში მაგრად ჩამორჩებიან დემოკრატებს . პეილინის სიტყვებით, ის იზიარებს წარმომადგენელთა პალატის ყოფილი სპიკერის, რესპუბლიკელ ნიუატ გინგრიჩის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროს კონსერვატორ დემოკრატებს იმ ოლქებსა და შტატებში, სადაც რესპუბლიკელებს პრაქტიკულად არა აქვთ წარმატების შანსი. ამ ტაქტიკის მიზანია კონსერვატიული კოალიციის შეკოწიწება იმ მომენტში, როდესაც ამერიკაში, გამოკითხვის თანახმად, მემარჯვენეცენტრისტული განწყობილება ძლიერდება.

იმ დროს, როდესაც ამერიკას მართავს ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მემარცხენე-ლიბერალური შეხედულებების პრეზიდენტი და ანალოგიურად განწყობილი კონგრესი, ასეთი დასკვნა ცოტა უცნაურად ჟღერს, მაგრამ გელაპის სხვა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამჟამად თავს კონსერვატორად მიიჩნევს ამერიკელების 38 პროცენტი, ხოლო ლიბერალებად - მხოლოდ 18 პროცენტი. ზომიერი ამომრჩევლების 33 პროცენტმა განაცხადა, რომ ბოლო დროს ისინი უფრო კონსერვატიულები გახდნენ. მხოლოდ მოქალაქეთა ამ ნაწილის 18 პროცენტი მიიჩნევს, რომ მათი თვალსაზრისი უფრო ლიბერალური გახდა.

პეილინი ამერიკელებში იმდენად წინააღმდეგობრივ გრძნობებს აღძრავს, რომ ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რამდენად სასურველი იქნება კანდიდატებისთვის მის მიერ შეთავაზებული დახმარება. ნოემბერში ორ შტატშია დაგეგმილი გუბერნატორების არჩევნები - ვირჯინიასა და ნიუ ჯერსიში. ჯერჯერობით არც ერთი რესპუბლიკელი კანდიდატი არ ჩქარობს პეილინის ჩართვას საკუთარ საარჩევნო კამპანიაში. "ჩვენ არ ვგეგმავთ მის მონაწილეობას," - განაცხადა რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელმა ნიუ ჯერსიში ჯეი ვებერმა. ამ შტატის ყოფილი ფედერალური პროკურორი, რესპუბლიკელი კრისტოფერ კრისტი ცდილობს სავარძლიდან გადმოსვას ნიუ ჯერსის ამჟამინდელი გუბერნატორი, დემოკრატი ჯონ კორზაინი.

მაგრამ, თუ რომელიმე კანდიდატი პეილინისთვის დახმარების თხოვნას გადაწყვეტს, ალიასკის გუბერნატორის პოსტიდან წასვლა მას ხელებს გაუხსნის. გუბერნატორის საქმიანობის გარდა, პეილინს სასამართლოში შეტანილ უამრავ სარჩელზე პასუხის გაცემაც უწევდა. ეს სარჩელები ალიასკის გუბერნატორს შარშან 29 აგვისტოს შემდეგ დაატყდა თავს, როდესაც სენატორმა მაკკეინმა თავისი გამარჯვების შემთხვევაში იგი ვიცე-პრეზიდენტად დაასახელა. ამ სარჩელებმა მისი შტატის და პირადად პეილინის დროის და ფინანსების სერიოზული ნაწილი შეიწირა. სულ ახლახან, გასულ პარასკევს, პეილინის წინააღმდეგ კვლავ შეიტანეს სარჩელი. ამტკიცებენ, რომ პეილინი უკანონოდ იღებდა მედიისგან ფულს ინტერვიუში. მისი წარმომადგენლები ამას კატეგორიულად უარყოფენ. ინტერვიუსთვის ფულს ამერიკაში თითქმის არასდროს იხდიან და არ არის გამორიცხული, რომ ამ სარჩელსაც ყველა წინა სარჩელის ბედი ეწიოს - დაუსაბუთებლად ცნონ.

თუ პეილინი მაინც გადაწყვეტს პრეზიდენტის თანამდებობაზე კენჭისყრას, ისტორიული გამოცდილება მის წარმატებაზე არ მიგვანიშნებს. ბოლო დროის ვიცე-პრეზიდენტობის წარუმატებელი კანდიდატების - ჯონ ედვარდსის, ჯოზეფ ლიბერმანის, ჯეკ კემპის, დენ კუეილის მცდელობები, მოგვიანებით მოესინჯათ საკუთარი ძალები პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში, წარმატებით არ დამთავრებულა.

21 წლის **გოგა ნარმანიას** ესაჭიროება გადაუდებელი ძვირად ღირებული ნეიროქირურგიული ოპერაცია. გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ახალგაზრდა ადამიანის გადარჩენაში და შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ .

**საბანკო კოდი (მფო):** 220101819

**ანგარიშწორების ანგარიში:** 2636512500051 (GeL)

მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე:

**893 72 56 60**

**წინასწარ ულრმეს მადლობას გიხდით,**

**ღმერთმა დაგლოცოთ!**

# ქეთი მელუა სამშობლოში

## საქველმოქმედო კონცერტები ნაქერალას უღელტეხილის ტრაგედიისას დაღუპულებს ეძღვნება

ია ვეკუა





ასაბაშვილებისა და სარჯველაძეების შვიდ შვილიანი ოჯახები ხვალიდან საკუთარ ჭერქვეშ იცხოვრებენ, ყველა ბავშვს ექნება საკუთარი კუთხე, სკამი, ლოგინი, საერთო ჭერი და მყარი კედლები იმის სიმბოლოდ, რომ ხვალიდან ამ ბავშვების ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართება. სწორედ ამ ორ ოჯახს გადაეცემა იმ ახალი სახლების გასაღები, რომლებსაც ფონდ იავნანას ინიაციატივით მთელი საქართველო შეიძენს. ეს ყველაფერი კი დღეს საღამოს ბათუმში მოხდება, როდესაც ქეთი მელუა საქველმოქმედო კონცერტს ჩაატარებს.

კონცერტის ტრანსლირება პარალელურად ერთდროულად რამდენიმე ტელეარხის ეთერით მოხდება. მას ერთგვარი ტელემარათონის სახე ექნება, რომლის დროსაც ნებისმიერ მსურველს შეეძლება აკრიფოს ნომერი 30-30 და თავადაც ქველმოქმედად იქცეს. ფონდ იავნანას მეშვეობით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა რამდენიმე მრავალშვილიანმა ოჯახმა უკვე მიიღო საკუთარი სახლი, ახლა კი როგორც გითხარით ასაბაშვილებისა და სარჯველაძეების ჯერია. თუმცა ქეთი მელუას სტუმრობამ კიდევ ორი ოჯახი გაახარა - მომღერალმა საკუთარი ინიციატივით მათთვის უკვე შეიძინა სახლები.

რაც შეეხება ქეთი მელუას კონცერტს, იგი დაახლოებით 5 წლის განმავლობაში იგეგმებოდა, თუმცა მომღერლის გადატვირთული გრაფიკის გამო მისი სამშობლოში სტუმრობა ვერ ხერხდებოდა. რთულ გრაფიკს მისთვის მაინც არ შეუძლია ხელი ქველმოქმედება გაეწია - 2005 წლის 1 აპრილს იავნანას ინიციატივით ბერლინში საქველმოქმედო საღამო გაიმართა. კონცერტიდან შემოსული თანხით გურჯაანის ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სახლის სამრეცხაო კორპუსი გარემონტდა. ვისთვისაც ცნობილია ამ დაავადების სიმძიმე, უკეთესად მიხვდება რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი ბავშვთა სახლისთვის მოწესრიგებული სამრეცხაო.

ქეთი მელუა სამშობლოში ორი კონცერტით ჩამოვიდა. გუშინ მან თბილისი ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართა კონცერტი, თუმცა ამ საღამოს შესახებ მეტს ვერ გეტყვით, რადგან მასზე დასწრება მხოლოდ ქეთის ახლობლებს შეეძლოთ. **როდესაც საქველმოქმედო მისიით საქართველოში ჩამოსვლა გადავწყვიტე, თავიდან მხოლოდ ბათუმის კონცერტი იგეგმებოდა. შემდეგ კი კიდევ ერთი საღამო დავამატე, რომელზე დასწრებასაც მხოლოდ ჩემი ახლობლები - ოჯახის წევრები, მეგობრები და კოლეგები შეძლებენ. სამწუხაროდ, ოპერის დარბაზი არც თუ დიდია, ამიტომ ვერ ვახერხებ ჟურნალისტების მოწვევასაც ,** - ასე ახსნა ქეთიმ კონცერტის ჟურნალისტების გარეშე ჩატარების გადაწყვეტილება.

როგორც პაატა ბურჭულაძემ აღნიშნა, არსებობდა იმის ალბათობაც, რომ ეს კონცერტები ჩაშლილიყო. მიზეზი 13 ივლისს ნაქერალას ურელტეხილზე მომხდარი ტრაგედიაა. **როდესაც ამ საშინელი ფაქტის შესახებ გავიგე, იმდენად განვიცადე, რომ ნამდვილად ვფიქრობდი კონცერტები გადამედო, თუმცა პარალელურად იმ ოჯახებზეც ვიფიქრე, ვისთვისაც ქველმოქმედებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამიტომ კონცერტები არ ჩავშალე და მათ ამ ტრაგედიისას დაღუპულ ბავშვებს ვუძღვნი. პირველ სიმღერას სწორედ მათთვის შევასრულებ ,** - აღნიშნა ქეთი მელუამ.

მართალია, ქეთი მელუა დღეს მთელ მსოფლიოში უდიდესი წარმატებით სარგებლობს, ხოლო დიდ ბრიტანეთში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მომღერლად მიიჩნევა, ქართველ მსმენელს მისი მუსიკის შესახებ არც თუ ბევრი ინფორმაცია აქვს. თუმცა აღმოჩნდა, რომ ქეთის აქ სერიოზული ფანებიც ჰყოლია - ოპერის თეატრში გამართული პრესკონფერენცია სწორედ რამდენიმე მათგანის შეძახილებმა გამოაცოცხლა, ერთ-ერთმა მათგანმა კი მეორე სართულზე მდებარე დარბაზში ფანჯრიდან შემოღწევაც შეძლო. მართალია, დაცვამ, იგი უმალ გაანეიტრალა , ფაქტი ნამდვილად შედგა.

ქეთი მელუა არ მალავს, რომ მას ქართველი მსმენელის წინაშე მართლაც მოუწევს გარჯა: ეს იქნება ჩემი დებიუტი სამშობლოში, ამიტომ ყველანაირად მზად ვარ, რომ პრემიერა მაღალ დონეზე ჩავატარო. მომზადებული მაქვს პროგრამა, რომელიც ძირითადად ცნობილი ჰიტებისგანაა შედგენილი. მათ შორისაა ჩემი საყვარელი ნაწარმოებებიც. სიურპრიზის სახით მომზადებული მაქვს ქართული სიმღერაც. სხვათა შორის, როდესაც უცხოეთში მცხოვრები ქართველები ჩემს კონცერტს ესწრებიან, ხშირად მეუბნებიან, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურად ვმღერი, შესრულებისას ჩემი ქართველობა მაინც იგრძნობა.

როგორც პაატა ბურჭულაძემ აღნიშნა, ბათუმის კონცერტი ოცნებების ასრულების საღამო იქნება. უსახლკარო ოჯახების ოცნებების ასრულების საქმეში კი ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია წვლილის შეტანა. ამიტომ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ამისთვის მხოლოდ იავნანას ჯადოსნური ნომერი 30-30 უნდა ავკრიფოთ...

# მკვლელობა თუ ბუნებრივი სიკვდილი

## კომპანიებმა მაიკლ ჯეკსონის სახელით ფულის კეთება უკვე დაიწყეს



მსოფლიო ნელ-ნელა გამოდის მაიკლ ჯეკსონის გარდაცვალებისგან მიღებული შოკიდან - მგლოვიარე ფანებმა შავიც გაიხადეს და გარდაცვლილის ფოტოიანი სამკერდე ნიშნებიც ჯეკსონთან დაკავშირებულ სხვა სუვენირებთან შეინახეს. თუმცა თავად ფაქტი ჯერ კიდევ ინარჩუნებს აქტუალობას, მით უფრო იმ ფონზე, რომ მომღერლის დამ, ლატოია ჯეკსონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ძმის ბუნებრივი გარდაცვალების არ სჯერა და დარწმუნებულია, რომ იგი მოკლეს. პარალელურად კი მაიკლ ჯეკსონის სახელის უკვდავყოფა სხვადასხვა გზებით ხდება, რაც ალღოიანი ბიზნესმენებისთვის ხელის მოთბობის საშუალებად იქცა.

მაიკლ ჯეკსონი ვარსკვლავი იყო, ვარსკვლავის ადგილი კი კოსმოსშია. ამ უკიდეგანო სივრცეში ადგილი ჯეკსონისთვის მართლაც გამოიძებნა და მისი სახელი მთვარის ერთ-ერთ კრატერს უწოდეს. ეს გადაწყვეტილება ორგანიზაცია მთვარის რესპუბლიკის ექსპერტთა კომისიამ მიიღო, რომლის გადაწყვეტილებითაც აღნიშნულ კრატერს ძველი სახელწოდება Posidonius J მაიკლ ჯოზეფ ჯეკსონით შეუცვალეს. მთვარის რესპუბლიკის წევრებმა კრატერს მომღერლის სრული სახელი იმიტომ უწოდეს, რომ იგი არ აერიოთ კიდევ ერთ კრატერში, რომელსაც ასევე ჯეკსონი ჰქვია, თუმცა შოტლანდიელ ასტრონომ ჯონ ჯეკსონის პატივსაცემად. კრატერის დიამეტრი დაახლოებით 22 კილომეტრია და სიზმრების ტბად წოდებულ ტერიტორიასთანაა ახლოს. თავად სიზმრების ტბა კი იმ მიწის ნაკვეთის მეზობლადაა, რომელიც თავად ჯეკსონმა წლების წინ შეიძინა.

ჯეკსონის სახელის უკვდასაყოფად ინიციატივით გამოვიდა ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატა. ამ ინიციატივის თანახმად მაიკლ ჯეკსონს ამერიკის ლეგენდის ტიტული მიენიჭება.

საკუთარი მონაცემები გამოაქვეყნა კომპანია Nielsen SoundScan-მა, რომელიც მუსიკალური ალბომების გაყიდვებსა და ჩარტების შედგენაზეა პასუხისმგებელი. კომპანიის წარმომადგენელთა ინფორმაციით, მაიკლ ჯეკსონის ჩანაწერები ისევე ხსნიან გაყიდვების რეკორდებს, როგორც ეს შორეულ 80-იან წლებში ხდებოდა. ჯეკსონის გარდაცვალებიდან 10 დღის განმავლობაში მარტო ამერიკაში 800 ათასი ჩანაწერი გაიყიდა. გარდა ამისა ჩარტებში კვლავ გამოჩნდა პოპის მეფის სახელი. ბილბორდის ჩარტების პირველ ათეულებში 5-8 კომპოზიცია სწორედ ჯეკსონისაა. ჯეკსონის ალბომების შემოსევაა ბრიტანულ ჰიტ აღლუმებშიც. საუკეთესო 200 ალბომში 13 სწორედ მისია, ხოლო ოთხი მათგანი პირველ ხუთეულში მოხვდა. ჯეკსონი სინგლების ჩარტებშიც ლიდერობს. 1988 წლის ალბომ Bad-ის სიმღერა Man In The Mirror უკვე მეორე კვირაა მყარად ინარჩუნებს ადგილს საუკეთესო სამეულში.

ორიოდე დღის წინ კი ლონდონში მდებარე მადამ ტიუსოს მუზეუმში მაიკლ ჯეკსონის მე-13 ცვილის ფიგურა დადგეს. ამ ფუგურაზე მუშაობა მუზეუმის სკულპტორებმა 4 თვის წინ დაიწყეს და ვარაუდობდნენ, რომ მას გამოფენას ჯეკსონის ტურნე This Is It!-ის დაწყებისას აპირებდნენ, თავად ქანდაკება კი ტურნეს ფოტოსესიისას გადაღებული მასალის მიხედვით დაამზადეს. ლონდონის მუზეუმში ამჟამად კიდევ ორი ცვილის ფიგურა დგას, დანარჩენები კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებში არსებულ მუზეუმებშია.

პარალელურად საპროდიუსერო კომპანია MJJ Productions-მა ოფიციალურად დაადასტურა, რომ მომზადების პროცესშია კომპიუტერული თამაში მაიკლ ჯეკსონის მონაწილეობით. გაირკვა ისიც, რომ თამაშზე მუშაობა დაახლოებით 2009 წლის დასაწყისში დაიწყეს, თუმცა ჯეკსონის გარდაცვალების მიუხედავად მასზე მუშაობას არ შეწყვეტენ. მეორე მხრივ, რატომ უნდა შეწყვიტონ - მომღერლის გარდაცვალება ხომ ახალი პროდუქციის საუკეთესო რეკლამა იქნება.

ახალი თამაში საშობაოდ გამოვა, მისი სახელწოდება კი ჯერ კიდევ არაა ცნობილი. თუმცა ცნობილია ის, რომ იგი მხოლოდ კონსოლებისთვის იქნება განკუთვნილი, ხოლო თამაშის მსვლელობისას საუნდრეკის სახით ცხადია ჯეკსონის სიმღერების მოსმენა იქნება შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ მაიკლ ჯეკსონის მონაწილეობით კიდევ ერთი თამაში არსებობს: Michael Jackson's Moonwalker ჯერ კიდევ 1989 წელს, მომღერლის აღზევების ხანაში გამოვიდა.

ორიოდე დღის წინ ლოს ანჯელესის მუნიციპალიტეტმა ჯეკსონის დაკრძალვის ხარჯები დაიანგარიშა. აღმოჩნდა, რომ მთელი ცერემონიალი 1,4 მილიონი დოლარი დაჯდა, ახლა კი იმას არკვევენ, ეს ხარჯი ვინ უნდა დაფაროს - ჯეკსონის ოჯახის წევრებმა თუ ცერემონიალის ორგანიზატორმა კომპანია AEG Live-მა. ამ უკანასკნელის წარმომადგენელი აცხადებს, რომ მათ არანაირი დავალიანება არ აქვთ და დარბაზის, აპარატურისა და დაცვის ხარჯები ბოლომდე გაისტუმრა.

რაც შეეხება ლატოია ჯეკსონის სკანდალურ განცხადებას, მან ბრიტანულ პრესას ოფიციალურად განუცხადა, რომ ძმის სიკვდილს მკვლელობად აფასებს და ყველაფერს გააკეთებს მის გასახსნელად. 53 წლის ლატოიამ ისიც ახსენა, რომ მისი ძმა სახლში ყოველთვის ინახავდა დიდ თანხას, რაც სახლის შემოწმების შემდეგ ვერ აღმოაჩინეს. ასევე გამქრალია ძვირფასეულობაც. ეს იყო შეთქმულება მაიკლის ფულის ხელში ჩასაგდებად , - აღნიშნა ლატოიამ, რომელსაც ირიბად მამამისიც ეთანხმება, მან ადრე განაცხადა, რომ მაიკლ ჯეკსონის სიკვდილი ბინძური თამაშის შედეგია.




## პაციენტების საყურადღებოდ !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ **ულტრასონოგრაფიის** (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს **ექოსკოპიურ** ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება **ექოსკოპიური** გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20, (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.:** 91 31 19; 91 32 42;

## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

**გთავაზობთ:**

**ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.:** 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

## ახალი ფასები!

Bazaleti HOTELS GROUP

## ბაზალეთის სასტუმროთა ჯგუფი
## ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი

**დაისვენეთ, გაერთეთ, შეიგრძენით ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი!**







ტელ: +995 32 75 53 66 +995 32 75 53 67, E-mail info@bazaletilake.ge reservation@bazaletilake.ge, www. Bazaletilake.ge

# საქართველოს ეროვნული ბანკის საუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის საუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის **2005** წლის **21** ივნისის **N 141** ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა „საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ" **2009** წლის 22 ივლისს ოთხშაბათს, საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში (ლეონიძის ქ. 3/5) დღის **12** საათზე ჩატარდება აუქციონი, საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

კომპიუტერული ტექნიკა

დანართი N1

| | ინვენტარის კოდი | ინვენტარის დასახელება | შეძენის თარიღი | ერთეულის ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | 15044 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 2 | 15054 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 3 | 15045 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 4 | 15046 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 5 | 15051 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 6 | 15043 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 01.11.2001 | 60 |
| 7 | 15055 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 8 | 14511 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 9 | 14940 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 10 | 14510 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 11 | 14509 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 12 | 14508 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 01.11.2001 | 60 |
| 13 | 14507 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 19.07.2002 | 60 |
| 14 | 15052 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 15 | 15049 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 16 | 14503 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 17 | 14505 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 18 | 15047 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 19 | 14506 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 20 | 14576 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 21 | 14941 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 01.11.2001 | 60 |
| 22 | 15048 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 23 | 14942 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 24 | 14610 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 22.07.2002 | 60 |
| 25 | 14611 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 22.07.2002 | 60 |
| 26 | 14612 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 27 | 15053 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 28 | 15050 | komp HP VECTRA VL400P///QHZ | 23.10.2001 | 60 |
| 29 | 15095 | komp DESKPO EH 24 MAX | 10.04.2000 | 60 |
| 30 | 15269 | komp DESKPO EH 24 MAX | 10.04.2000 | 60 |
| 31 | 15090 | lazeruli printeri NP 2100 | 31.12.1999 | 48 |
| 32 | 15061 | komp DESKPO EH 24 MAX | 10.04.2000 | 60 |
| 33 | 468 | lazeruli printeri HP- 6P | 12.12.1996 | 48 |
| | | | | |
| | | | | სულ 1956 |

საოფისე ავეჯი

დანართი N 2

| | ინვენტარის № | დასახელება | ერთეულის ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | 15393 | ტელევიზორი CROWN | 42 |
| 2 | 15386 | კომპიუტერის მაგიდა | 48 |
| 3 | 15384 | საოფისე მაგიდა | 60 |
| 4 | 15385 | კარადა 2 კარიანი | 48 |
| 5 | 15387 | საფოსტო კარადა (ხის სტელაჟი) | 24 |
| 6 | 14990 | საოფისე მაგიდა | 60 |
| 7 | 14982 | საკონფერენციო მაგიდა (ნახევარ წრე) | 120 |
| 8 | 14983 | საოფისე მაგიდა (საკონფერენციო მაგიდა) | 72 |
| 9 | 14984 | საოფისე მაგიდა (საკონფერენციო მაგიდა) | 72 |
| 10 | 14986 | საკონფერენციო მაგიდა (ნახევარ წრე) | 120 |
| 11 | 14987 | საოფისე მაგიდა (საკონფერენციო მაგიდა) | 72 |
| 12 | 14989 | საოფისე მაგიდა (საკონფერენციო მაგიდა) | 72 |
| 13 | 15031 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 14 | 15030 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 15 | 15029 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 16 | 15028 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 17 | 15027 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 18 | 15026 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 19 | 15025 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 20 | 15024 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 21 | 15023 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 22 | 15022 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 23 | 15021 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 24 | 15020 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 25 | 15019 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 26 | 15018 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 27 | 15017 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 28 | 15016 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 29 | 15015 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 30 | 15014 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 31 | 15013 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 32 | 15012 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 33 | 15011 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 34 | 15010 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 35 | 15033 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 36 | 15009 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 37 | 15008 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 38 | 15007 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 39 | 15006 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 40 | 15032 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 41 | 15034 | სკამ-სავარძელი ტყავის ზედაპირით | 48 |
| 42 | 14992 | ტანსაცმლის საკიდი | 18 |
| 43 | 14996 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 44 | 14998 | ტუმბო | 24 |
| 45 | 15373 | კარადა (დახურული სტელაჟი) | 240 |
| 46 | 15277 | საოფისე მაგიდა (პატარა) | 48 |
| 47 | 15312 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 48 | 15311 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 49 | 15298 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 50 | 15287 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 51 | 15309 | ტუმბო | 24 |
| 52 | 15307 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 53 | 15308 | ტუმბო | 24 |
| 54 | 15304 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 55 | 15300 | ტელევიზორის სადგამი-მაგიდა | 30 |
| 56 | 15278 | კარადა 2 კარიანი | 60 |
| 57 | 15286 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 58 | 15290 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 59 | 15296 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 60 | 15295 | ტუმბო | 24 |
| 61 | 15297 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 62 | 15261 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 63 | 15256 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 64 | 15260 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 65 | 15257 | ტუმბო | 24 |
| 66 | 15254 | ტუმბო | 24 |
| 67 | 15234 | საკიდი | 18 |
| 68 | 15232 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 69 | 15225 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 70 | 15231 | ტუმბო | 24 |
| 71 | 15222 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 72 | 15209 | საოფისე მაგიდა (პატარა) | 36 |
| 73 | 15210 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 74 | 15203 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 75 | 15206 | საოფისე მაგიდა (პატარა+დიდი) გარნიტური მაგიდა | 168 |
| 76 | 15191 | სათათბირო მაგიდა | 120 |
| 77 | 15200 | საოფისე მაგიდა (პატარა) | 36 |
| 78 | 15192 | ტუმბო | 24 |
| 79 | 15195 | ფეხზე დასადგმელი თარო (ჩადგმული) | 96 |
| 80 | 15180 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 81 | 15186 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 82 | 15172 | კარადა თაროებიანი (დიდი) | 96 |
| 83 | 15179 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 84 | 15185 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 85 | 15182 | საოფისე მაგიდა ტუმბოთი | 60 |
| 86 | 15148 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 87 | 15147 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 88 | 15136 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 89 | 15138 | ტუმბო | 36 |
| 90 | 15236 | კარადა (დახურული სტელაჟი) | 84 |
| 91 | 15235 | კარადა (დახურული სტელაჟი) | 84 |
| 92 | 15150 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 93 | 15152 | ტუმბო | 24 |
| 94 | 15167 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 95 | 15162 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 96 | 15163 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 97 | 15159 | საკიდი | 30 |
| 98 | 15133 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 99 | 15135 | ტუმბო | 24 |
| 100 | 15130 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 101 | 15141 | კარადა 2 კარიანი | 48 |
| 102 | 15145 | საოფისე მაგიდა | 48 |
| 103 | 15142 | საოფისე მაგიდა | 48 |
| | | | |
| | | სულ | **5382** |

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს" მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი საუქციონო ფასის 10-%-ს, რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკის N 117904101 ანგარიშზე (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107). განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილისა და იმ ობიექტის შესახებ, რომლის შეძენაც მას სურს) და „ბე"-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება საუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ ლიანა კვირიკაძეს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი".

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. აუქციონის შემდეგ გაყიდული ლოტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ მათი მყიდველებისგან პრეტენზია არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ საუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ ლიანა კვირიკაძეს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-41) ელ. ფოსტა lkvirikadze@nbg.ge .

საქართველოს ეროვნული ბანკის საუქციონო კომისია

- სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI-ე თავით დადგენილი წესების შესაბამისად (სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილი);

- მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკამყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით;

- შესაგებელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინეთ იმდენი ასლით, რამდენიც მოსარჩელეა. მას ხელს უნდა აწერდეს მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი და უნდა ერთვოდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი (როცა პასუხი შეაქვს წარმომადგენელს).

**5.** სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები გიორგი საღირაშვილისთვის ჩაბარებულად ჩაითვალოს საჯარო შეტყობინებიდან მე-7 დღეს და ამ დღიდან აითვალოს შესაგებლის შემოტანის ვადა;

**6.** განჩინება გამოქვეყნდეს იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული გიორგი საღირაშვილის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ქ.თბილისში.

**7.** განჩინება არ საჩივრდება.

**მოსამართლე: ვლადიმერ კაკაბაძე**

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებული სამღებრო მასალებისა და ინვენტარის შესყიდვის შესახებ ტენდერის ვადის გადაწევა და ცვლილება

შპს საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 2009 წლის 27 ივნისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **სამღებრო მასალებისა და ინვენტარის შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულ ტენდერში შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლილება, კერძოდ:

1. სატენდერო განცხადების პირველ და მეხუთე პუნქტებში კერძოდ: პრეტენდენტებისათვის სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის ბოლო ვადა და პრეტენდენტების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წონადადების წარმოდგენის ვადა ნაცვლად 17 ივლისისა განისაზღვროს **2009 წლის 20 ივლისით;**
2. მე-2 პუნქტში, შესყიდვის ობიექტში შენიშვნის მე-2 პუნქტით მოთხოვნილი „ევრო სტანდარტებით გათვალისწინებული ხარისხის სერთიფიკატი" გაუქმდეს და საბოლოოდ ზემოაღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად„

**- პირველ ლოტში მონაწილე ყველა პრეტენდენტმა სატ. პაკეტების გახსნის დღეს უნდა წარმოადგინოს ხარისხის საერთაშორისო სერთიფიკატი (ISO-9000, ISO-9001, ISO-9002)"**

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

**სატენდერო კომისია**

## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**

**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი

თბილისი, თენგიზ აბულაძის 20

(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 15 ივლისიდან აცხადებს ტენდერს ინგირი-ხობის გადასარბენზე ლითონის ხიდების შეკეთების სამუშაოების შესყიდვის შესახებ

"საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **ინგირი-ხობის გადასარბენზე ლითონის ხიდების შეკეთების სამუშაოების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495.

**სატენდერო დოკუმენტაცია, მოცულობათა უწყისი და ნახაზები** გაიცემა 2009 წლის **15 ივლისიდან 4 აგვისტოს** ჩათვლით <u>სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის</u> წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | სამუშაოს დასახელება |
|---|---|
| | |
| 1 | ინგირი-ხობის გადასარბენის ცაცხვი-ხეთას მონაკვეთის 2210 კმ პკ 4+11 ლითონის ხიდის ხვრეტი 10,55 მ. მალის ნაშენის შეცვლა ახალით |
| 2 | ინგირი-ხობის გადასარბენის ცაცხვი-ხეთას მონაკვეთის 2209 კმ პკ 5 ლითონის ხიდის ხვრეტი 10,5 მ. მალის ნაშენის შეცვლა ახალით |

**3.** სამუშაოს შესრულების ვადა: **2009 წლის IV კვ.**

**4.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქულ კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 4 აგვისტოს ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**<u>იურიდიული პირებისათვის :</u>**

**1.** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, *<u>რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;</u>*

**2.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *<u>რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;</u>*

**3.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **<u>5%-იანი საბანკო გარანტიის</u>** წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.</u>

**<u>ფიზიკური პირებისათვის :</u>**

**1.** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *<u>რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;</u>*

**2.** პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

**3.** ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

**4.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **<u>5%-იანი საბანკო გარანტიის</u>** წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.</u>

***<u>როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:</u>***

1. ინფორმაცია განხორციელებული მსგავსი სამუშაოების შესახებ.
2. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას შესასრულებელი სამუშაოების და შესაძლო ავანსირების (ავანსის შემთხვევაში) გეგმა-გრაფიკი; (პაკეტების გახსნის დღეს).
3. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება (გარდა ავანსისა) განხორციელდება მხოლოდ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.
4. შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება მხოლოდ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.

**6. <u>ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :</u>**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა და სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **<u>დღგ–ს გარეშე;</u>** უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად.
3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა, ხელშეკრულების გაფორმებამდე, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **<u>56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;</u>** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60; თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

<u>სატენდერო კომისია</u>

# განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს ინფორმაცია თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2009 წელს შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:

| ლოტი | მიმწოდებელი | საქონლის დასახელება | დაფინანსების წყარო |
|---|---|---|---|
| 1 | შპს „რომპეტროლ საქართველო“ | **საწვავი** | **„ბპი“-სთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული გრანტი** |

| ლოტი | მიმწოდებელი | საქონლის დასახელება | დაფინანსების წყარო |
|---|---|---|---|
| 1 | შპს „ნოვა XXI“ | **ავტოსატრანსპორტო საშუალებების პროფილაქტიკურ ცენტრებში მომსახურება (სერვისი - სათადარიგო ნაწილებით)** | **„ბპი“-სთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული გრანტი** |

| ლოტი | მიმწოდებელი | საქონლის დასახელება | დაფინანსების წყარო |
|---|---|---|---|
| 1 | ი.ს. „გიორგი ლომიძე“ | **სხვადასხვა დასახელების სამზარეულო ინვენტარი** | **სახელმწიფო ბიუჯეტი** |
| 2 | | | |
| 4 | | | |

| ლოტი | მიმწოდებელი | საქონლის დასახელება | დაფინანსების წყარო |
|---|---|---|---|
| 1 | ი.მ. „ზვიად კაპანაძე“ | **სხვადასხვა დასახელების სამეურნეო საქონელი** | **სახელმწიფო ბიუჯეტი** |
| 3 | | | |
| 5 | | | |
| 9 | | | |
| 14 | | | |
| 21 | | | |
| 2 | შპს „ჰერმესი“ | | |
| 8 | | | |
| 11 | | | |
| 16 | | | |
| 23 | | | |
| 4 | ი.მ. „შალვა დამხიანი“ | | |
| 10 | | | |
| 15 | | | |
| 22 | | | |
| 6 | ი.მ. „ზვიად ნასარიძე“ | | |
| 7 | | | |
| 12 | | | |
| 17 | | | |

| ლოტი | მიმწოდებელი | საქონლის დასახელება | დაფინანსების წყარო |
|---|---|---|---|
| 3 | შპს „მანგლისი 2007“ | **მშრალი საკვები** | **სახელმწიფო ბიუჯეტი** |
| 4 | შპს „კომპანია ორბიტა“ | | |
| 7 | ი.მ. „გია ბარბაქაძე“ | | |
| 8 | | | |
| 9 | | | |
| 10 | | | |

| ლოტი | მიმწოდებელი | საქონლის დასახელება | დაფინანსების წყარო |
|---|---|---|---|
| 1 | შპს „ელიტ ელექტრონიქსი“ | **კონდიციონერები** | **სახელმწიფო ბიუჯეტი** |
| 2 | | | |
| 3 | | | |
| 4 | | | |
| 5 | შპს „ახალი მთვარე“ | | |

**შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს ინფორმაცია თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2009 წელს შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით პრეტენდენტთა სიას:**

| მიმწოდებელი | საქონლის დასახელება | დაფინანსების წყარო |
|---|---|---|
| ი.მ. „გივი დალაქიშვილი“ | კვების პროდუქტები | **„ბპი“-სთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული გრანტი** |
| ი.მ. „ლეილა ნოზაძე“ | კვების პროდუქტები | |

**ტურქულ-ქართულ კომპანია "ბლექ სი გრუპი" აცხადებს ტენდერს ბეტონშემრევის ქირაობასთან დაკავშირებით. გვსურს ვიქირაოთ 2ცალი ბეტონშემრევი, სასურველია პომპით ან ლენტური მიწოდებით, 2000წელს ზემოთ გამოშვებული.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ზვიად ბერუაშვილს 877 99 01 49 ან მარინა ჭუნიაშვილი (822) 20 74 74 877 ან (877) 990 128**

შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპი" სამცხე ჯავახეთის გზების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში აცხადებს ტენდერს სოფ. არაქვას კარიერიდან მასალის მიწოდებაზე სოფ. ხოსპიოში

ერთი მიმართულება - 17კმ.

გადასაზიდი მასალის მოცულობა - 120,000 მ3

სამუშაოს შესრულების ვადაა - 90 კალენდარული დღე

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს:

1. 30 ტონიანი ექსკავატორი - 1 ერთეული
2. წყლის მანქანა - 1 ერთეული
3. თვითმცვლელი მინიმუმ 13 მ3 მოცულობის - 15 ერთეული
4. ბულდოზერი - 1 ერთეული

დაწვრილებით ინფორმაციისათვის მიმართეთ ზვიად ბერუაშვილს.

T: 877 99 01 49

განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა: 15 ივლისი 2009

ასევე თქვენი წინადადებები მოგვაწოდეთ თბილისი, ვაჟა-ფშაველას N 71, ბლოკი 8, სართული 3, ოფისი 16.

E-mail: chuniashvili@papenburg.ge

Tel: (+995 32) 20 74 74

Fax: (+995 32) 20 74 20

საკონტაქტო პირი: მარინა ჭუნიაშვილი

## განცხადება

"მეწარმეთა შესახებ "საქართველოს კანონის მე 14 მუხლის მე 3 პუნქტის თანახმად, საქართველოში INSPECTORATE (შვეიცარია) S.A. -ს ფილიალი იუწყება, რომ მისი პარტნიორის აღმასრულებელი ორგანოს, INSPECTORATE (SUISSE) S.A.-ს დირექტორთა საბჭოს 2009 წლის 2 ივლისს გადაწყვეტილებით, დამთავრდა საქართველოში INSPECTORATE (შვეიცარია) S.A. -ს ფილიალის ლიკვიდაციის პროცესი.

ქ.ბათუმი, 6002, სერგი მესხის ქ. 68

ტელ. +995 222 5-47-83

საქართველოში INSPECTORATE (შვეიცარია) S.A. -ს ფილიალის ადმინისტრაცია.

## განცხადება

მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ვაქვეყნებთ შემდეგ ინფორმაციას:

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ისაშვილი და კომპანიის'' (რეგისტრირებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ 1997 წლის 10 ივლისს, საიდენტიფიკაციო კოდი N216291484, იურიდიული მისამართი: ქ. რუსთავი, მე-12 მკ/რ N2) დამფუძნებელ პარტნიორთა 2009 წლის 06 ივლისის კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორებს: დალი დვალს (პირადი N35001082624), მაია საყვარელიძეს (პირადი N35001079492), მანანა სესიტაშვილს (პირადი N35001067290), ცისანა ღრუბელაძეს (პირადი N35001089931) და ნანი კობახიძეს (პირადი N35001055553) ნება დაერთოთ გავიდნენ საზოგადოების პარტნიორთა რიგებიდან.

ამის თაობაზე წერილობითი შეტყობინება გაეგზავნება საგადასახადო ორგანოს და საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს.

**სპს ისაშვილი და კომპანია"**

# თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2009 წლის 13 აგვისტოს ატარებს აუქციონს

აუქციონზე გამოტანილი იქნება ქ.რუსთავის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები კომერციული საქმიანობისათვის

| № | მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა | ფართობი (კვ.მ.) | ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი | ფასი (ლარი) | "ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ.რუსთავი, ლეონიძის ქუჩის მ/ტ | 1349.96 | 02 | 02 | 03 | 110 | 13040 | 5216 | 1000 |
| 2 | ქ.რუსთავი, ბ. კაპანაძის ქუჩის მ/ტ | 91.7 | 02 | 02 | 03 | 141 | 886 | 356 | 100 |

**შენიშვნა:**
**ლოტი №1 (არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. რუსთავი ლეონიძის ქ. მ/ტ ფართობი 1349,96კვ.მ დატვირთულია იჯარით 2026 წლამდე.**

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი №20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) "ბე"-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:

ს.ს. "საქართველოს ბანკი" რუსთავის ფილიალი
ბანკის კოდი 220101502
საიდენტიფიკაციო კოდი 216433287
ა.ნ. 266897601 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება).

გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:

220101222
სახელმწიფო ხაზინა
200122900
ერთიანი ანგარიში
სხვა შემოსულობები (რუსთავი)
სახაზინო კოდი 300063282 (სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე "ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20
ტელ: (824) 12 12 66

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს სხვადასხვა სახის მედლებისა და სამკერდე ნიშნების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, **მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი, ტენდერის დასახელება** და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას №8 მე-3 სართული, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. **სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ა/წ 15 ივლისიდან 3 აგვისტოს 18:00 საათამდე.**

1. **შესყიდვის ობიექტი:**

| № | დასახელება | რაოდენობა (ცალი) | მიწოდების ვადა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | სამკერდე ნიშანი „უმწიკვლო სამსახურისათვის" 10 წელი | 500 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში | ქ. თბილისი, გულუას ქ. №10 |
| | სამკერდე ნიშანი „უმწიკვლო სამსახურისათვის" 15 წელი | 300 | | |
| | სამკერდე ნიშანი „უმწიკვლო სამსახურისათვის" 20 წელი | 100 | | |
| 2 | მედალი „მამაცობისათვის" | 500 | | |

2. დამატებითი ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.
3. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **4 აგვისტოს 11:00 საათიდან 15:00 საათამდე** მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (სამეწარმეო რეესტრიდან);
ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
გ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (საქალაქო სასამართლოდან);
5. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემები და მიმწოდებლის მიერ ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად უბრუნდებათ პრეტენდენტებს.
8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.
9. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
10. **ტენდერი ჩატარდება 4 აგვისტოს** 15:00 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.
11. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
12. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია **2 %-ის** ოდენობით. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება.
13. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.
14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო განჯელაშვილი ტელ: 877-52-81-83; დავით რეხვიაშვილი, ტელ. 877- 94-27-77; 41-11-69;

**სატენდერო კომისია**

**1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.**

# განცხადება ღია კონკურსის ჩატარების თაობაზე

1. სს „აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" (შემდგომში - „ცენტრი") აცხადებს ღია კონკურსს ცენტრის საჭიროებისათვის საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** შესყიდვის ობიექტია - „საავტომობილო საწვავი", რომელთა მოწოდების ვადაა 5 (ხუთი) თვე.

**3.** შესყიდვის ობიექტი წარმოდგენილია 4 (ოთხი) პოზიციით:

| № | დასახელება | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | სუპერი | ლიტრი | 7000 |
| 2 | ევრო რეგულარი | ლიტრი | 41000 |
| 3 | ევრო დიზელი | ლიტრი | 16000 |
| 4 | დიზელი L 62 | ლიტრი | 15000 |

**4.** დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი კონკურსში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და საკონკურსო წინადადება (დედანი და ასლი), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2009 წლის 24 ივლისის 15:00 საათისა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №18/20, „ცენტრი"-ს მე-3 სართული, ოთახი №301.

**5.** პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

ა. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
გ. ხარისხის და წარმოშობის დამადასტურებელი სერთიფიკატ(ებ)ი.

**6.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №18/20, „ცენტრი"-ს მე-3 სართული, ოთახი №301, ტელ: 54 09 33.

**საკონკურსო კომისია**

საქმე N2/5034-08

# განჩინება
# საქართველოს სახელით

18 ივნისი, 2009 წელი ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
**მოსამართლე - ვლადიმერ კაკაბაძე**
**სხდომის მდივანი - ბელა ყულიაშვილის მდივნობით**

**მოსარჩელე:** სს "ბანკი რესპუბლიკა"
**წარმომადგენელი:** გიორგი გოგიჩაიშვილი
**მოპასუხე:** გიორგი სალირაშვილი
**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 25 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მომართა სს "ბანკი რესპუბლიკის" წარმომადგენელმა ფიქრია ზირაქაშვილმა სარჩელით მომართა სასამართლოს მოპასუხე გიორგი სალირაშვილის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხეს დაკისრებოდა 2858,78 ლარი, მოსარჩელის მიერ სარჩელზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარი და ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯი დავის საგნის 4% ოდენობით.

სარჩელის მიხედვით სს "ბანკ რესპუბლიკასა" და გიორგი სალირაშვილს შორის 2008 წლის 21 თებერვალს გაფორმდა N5641 სამომხმარებლო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმად მსესხებელზე გაიცა კრედიტი 1785,34 ლარის ოდენობით, 12 თვის ვადით. აღნიშნული ხელშეკრულების მეორე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად მსესხებელი ვალდებული იყო ბანკისთვის გადაეხადა ერთჯერადი საკომისიო 272,34 ლარი. ამავდროულად მხარეთა მიერ შეთანხმდა სესხის გადახდის გრაფიკი. მოსარჩელის მიერ 2008 წლის 21 თებერვალს გაიცა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა მაგრამ მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა და არ დაიწყო სესხის დადგენილ ვადაში დაფარვა.

2008 წლის 26 ნოემბრის მდგომარეობით მოპასუხის დავალიანება მოსარჩელის მიმართ შეადგენს 2858,78 ლარს. სარჩელში ასევე აღნიშნულია, რომ მოპასუხეს 2008 წლის 10 ივნისს გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება ნაკისრი ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ რასაც არავითარი შედეგი არ მოყოლია. ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით მოსარჩელე მოითხოვდა საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

სასარჩელო განცხადება წარმოებაშია მიღებული სასამართლოს 2008 წლის 29 დეკემბრის განჩინებით.

2009 წლის 19 თებერვალს და 18 ივნისს დანიშნულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომებზე მოპასუხე გიორგი სალირაშვილი არ გამოცხადდა ხოლო მისდამი გაგზავნილი საფოსტო გზავნილები დაბრუნდა შეტყობინებით, საიდანაც ირკვევა, რომ მოპასუხემ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი, ამავე მიზეზით მოპასუხეს ვერ ბარდება სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ასლები.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხე გიორგი სალირაშვილს მოსარჩელის მიერ თავდაპირველად მითითებულ მისამართზე (ქ. თბილისი დ. ბაქრაძის II შესახვევი N1/3) ვერ ჩაბარდა სარჩელი თანდართულ მასალებთან ერთად.

სასამართლო შენიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს მიერ გაცემული ცნობის მიხედვით გიორგი სალირაშვილის რეგისტრაციის ადგილია ქ. თბილისი დ. ბაქრაძის II შესახვევი N1/3.

აღნიშნულ მისამართზე მოპასუხეს რამოდენიმეჯერ გაეგზავნა სარჩელის და თანდართული მასალების გზავნილი ასევე სასამართლო უწყება თუმცა მათი ჩაბარება ვერ მოხერხდა ვინაიდან მოპასუხე ფაქტობრივად ცხოვრობს სხვა მისამართზე.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოაბაზეც, რომ მოპასუხეს სარჩელის და თანდართული მასალების გზავნილი ვერ ჩაბარდა საქართველოს შსს ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახურის მეშვეობითაც. ხოლო შსს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს III განყოფილების 2009 წლის 13 ივნისის პასუხიდან ირკვევა, რომ გიორგი სალირიშვილისადმი გაგზავნილი დოკუმენტების ჩაუბარებლიობის მიზეზია მოპასუხის მიერ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის ცვლილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღების შესახებ სასამართლო განჩინების გამოტანის შემდეგ ან ასეთი განჩინების გამოტანის ვადის გასვლის შემდეგ (ამ კოდექსის 183-ე მუხლი) მოსამართლე ვალდებულია გასცეს განკარგულება ამ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ამ კოდექსის 201-ე მუხლით დადგენილი წესით გადაგზავნის შესახებ. სარჩელისა და თანდართლი საბუთების გადაგზავნა-ჩაბარებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი რაიმე სპეციალურ წესს არ ითვალისწინებს.

ამიტომ, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესი. კერძოდ, 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის პირველი და მეორე წინადადების თანახმად, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ვითარებასთან, როცა მოპასუხე გიორგი სალირაშვილის მისამართი სწორია, ვინაიდან ეს პირი კვლავ არის რეგისტრირებული ქ. თბილისში დ. ბაქრაძის II შესახვევი N1/3-ში მაგრამ ამ მისამართზე აღარ ცხოვრობს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ზემომოყვანილ მსჯელობაზე დაყრდნობით სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხე გიორგი სალირაშვილს საჯარო პუბლიკაციით უნდა ეცნობოს სარჩელისა და მასზე დართული საბუთების შინაარსი. ამასთან სასამართლო თვლის, რომ რადგან მოპასუხეს არ ჩაბარებია სარჩელის და თანდართული დოკუმენტების გზავნილი მას უნდა განესაზღვროს გონივრული ვადა სარჩელზე პასუხის (შესაგებლის) წარმოსადგენად და განემარტოს შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 201-ე, 284-285-ე და 414-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. გიორგი სალირაშვილს სარჩელის და მასზე დართული საბუთების შინაარსი ეცნობოს საჯარო პუბლიკაციის გზით.

2 .გიორგი სალირაშვილს სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, სარჩელზე დართული საბუთების შესახებ შესაგებლის (პასუხის) წარმოსადგენად განესაზღვროს 10 (ათი) დღე. მასვე განემარტოს, რომ შესაგებელი შედგენილი უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით (როგორც წესი, ნაბეჭდი სახით). მოპასუხეს ასევე განემარტოს, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით.

**3.** თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე პუბლიკაციით მოპასუხე გიორგი სალირაშვილს ატყობინებს შემდეგს:

**- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე N2/5034-08 სს „ბანკი რესპუბლიკას" სარჩელისა გამო მოპასუხე გიორგი სალირაშვილის მიმართ სს "ბანკ რესპუბლიკასა" და გიორგი სალირაშვილს შორის 2008 წლის 21 თებერვას გაფორმებული N5641 სამომხმარებლო საკრედიტო სესხის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების დაკისრების შესახებ.**

**მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებს იმ გარემოებებზე, რომ სს „ბანკ რესპუბლიკასა" და გიორგი სალირაშვილს შორის 2008 წლის 21 თებერვას გაფორმდა N5641 სამომხმარებლო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელზე გაიცა კრედიტი 1785,34 ლარის ოდენობით 12 თვის ვადით. აღნიშნული ხელშეკრულების მეორე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად მსესხებელი ვალდებული იყო ბანკისთვის გადაეხადა ერთჯერადი საკომისიო 272,34 ლარი. ამავდროულად მხარეთა მიერ შეთანხმდა სესხის გადახდის გრაფიკი. მოსარჩელის მიერ 2008 წლის 21 თებერვალს გაიცა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა მაგრამ მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა და არ დაიწყო სესხის დადგენილ ვადაში დაფარვა. მოპასუხეს 2008 წლის 10 ივნისს გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება ნაკისრი ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ რასაც არავითარი შედეგი არ მოყოლია. ხოლო 2008 წლის 26 ნოემბრის მდგომარეობით მოპასუხის დავალიანება მოსარჩელის მიმართ შეადგენს 2858,78 ლარს.**

**- აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით მოსარჩელე მოითხოვს გიორგი სალირაშვილს დაეკისროს 2858,78 ლარის, მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 ლარისა და დავის საგნის 4% ოდენობით ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის გადახდის დაკისრება.**

**სასარჩელო განცხადებას თან ერთვის შემდეგი მტკიცებულებები: 1) 2008 წლის 28 ნოემბრის საგადასახადო დავალება სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ. 2) 2008 წლის 26 ნოემბრის საგადასახადო დავალება შპს „ჭელიძე და პარტნიორები"-სთვის საჰონორარო შეთანხმების თანახმად თანხის გადახდის შესახებ. 3) სამომხმარებლო საკრედიტო ხელშეკრულება N5641, ასევე სესხის დაფარვის გრაფიკი. 4) გიორგი სალირაშვილის პირადობის მოწმობის ასლი. 5) გიორგი სალირაშვილის მიმართ 2008 წლის 10 ივნისს გაგზავნილი იურიდიული შეტყობინება სს ბანკ „რესპუბლიკას" წინაშე არსებული დავალიანების დაფარვის შესახებ. 6) სს ბანკ „რესპუბლიკას" მიერ 2008 წლის 28 ნოემბერს გაცემული ცნობა გიორგი სალირაშვილის დავალიანების ოდენობის შესახებ. 7) სს ბანკ „რესპუბლიკას" სახელით გაცემული მინდობილობა შპს „ჭელიძე და პარტნიორების" მიმართ, ასევე სს ბანკ „რესპუბლიკასა" შპს „ჭელიძე და პარტნიორებს" შორის დადებული საჰონორარო შეთანხმება. 8) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი სს ბანკ „რესპუბლიკას" და შპს „ჭელიძე და პარტნიორების" შესახებ.**

**4.**მოპასუხე გიორგი სალირაშვილს ასევე ეცნობოს. შემდეგი:

- მოპასუხე ვალდებულია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე და 2321-ე მუხლების შესაბამისად) წერილობით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით, შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული საბუთების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოს ისინი სასამართლოს ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

- წერილობით შედგენილ პასუხში უნდა აღინიშნოს შემდეგი მონაცემები:

a. სამართლოს დასახელება, რომელშიც მოპასუხეს შეაქვს პასუხი;

b. მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქცვს წარმომადგენელს), მოქმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლოა მიუთითოს ასევე საკონტაქტო პირის მონაცემები;

c. ცნობთ თუ არა სარჩელს და რა ნაწილში; ხოლო თუ არ ცნობთ, მაშინ რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება თქვენი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ; ასევე მტკიცებულებები, რომებიც ადასტურებს თქვენს მიერ მითითებულ გარემოებებს;

d. რა საპროცესო საშუალებებით აპირებთ სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ სარჩელის დასაშვებობას, ხომ არ გაქვთ აცილება მოსამართლის ან სასამართლოს მიმართ და ა.შ.

e. ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;

f. რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლოს სხდომაზე და სხვა შუამდგომლობები;

g. პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

h. მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;

i. პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პასუხი სასამართლოსი შეაქს წარმომადგენელს;

j. პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა ასახოთ თქვენი მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ არ ეთანხმებით სარჩელში მოყვანილ გარემოებას, ვალდებული ხართ მიუთითოთ ამის მიზეზი და დაასაბუთოთ შესაბამისი არგუმენტაციით;

k. ვალდებული ხართ პასუხს დაურთოთ მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები; მოპასუხე უფლებამოსილია მტკიცებულებათა წარდგენისათვის მმოითხოვოს გონივრული ვადა;

l. მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს;

m. მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით;.

n. სხვა სახის შუამდგომლობები;

**მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობის შედეგები:**

# ფაჩულიამ კონტრაქტი ოფიციალურად გააფორმა

რამდენიმე დღის წინ ამერიკულ მედიაში გავრცელდა ცნობა, რომ ზაზა ფაჩულიამ ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა ატლანტა ჰოუქსთან . ეს ინფორმაცია ჩვენს მკითხველსაც მოვაწოდეთ.

და აი, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ამერიკელმა ჟურნალისტებმა რამდენიმე დღის წინ გამოარკვიეს. კერძოდ, გასულ კვირას ამერიკულ პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ ატლანტა ჰოუქსი და ზაზა ფაჩულია ახალ ოთხწლიან და 19-მილიონიან კონტრაქტზე შეთანხმდნენ. პრესას წყაროდ ასახელებდა მოლაპარაკებაში მონაწილე ადამიანს, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა. მერე თავად ზაზამ განაცხადა, რომ კონტრაქტს 13 ივლისს მოაწერდა ხელს. და აი, ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა.

გუშინ ატლანტამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ზაზა ფაჩულიასთან 19 მილიონ დოლარად ღირებული ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ქართველი ცენტრი, რომელმაც გასული 4 წელიწადი ჰოუქსში გაატარა, ამ კლუბში, სულ მცირე, კიდევ ოთხ სეზონს გაატარებს.



ზაზა ფაჩულია კიდევ ოთხ წელიწადს გაატარებს ატლანტაში

ფაჩულიასთან ერთად ატლანტელებმა კონტრაქტი გაუხანგრძლივეს მაიკ ბიბის - ამერიკელი გამთამაშებელი 3 წელიწადში 18 მილიონ დოლარს მიიღებს. ატლანტელებმა ერთი თვის წინ გოლდენსტეიტელი ჯამალ კროუფორდი შეიმატეს და მომავალ სეზონში ალბათ უფრო მეტის მიღწევას ეცდებიან, ვიდრე გასულ წელს მოახერხეს. ყოველ შემთხვევაში, ფაჩულია ოპტიმისტურადაა განწყობილი. ჩემთვის ძალიან მტკივნეული იქნებოდა, რომ ატლანტა დამეტოვებინა და სადმე სხვაგან გადავსულიყავი. მინდა ამ გუნდში მეტ წარმატებას მივაღწიო. ახალ სეზონში პლეი-ოფის მეორე წრეში გასვლას აღარ დავჯერდებით და უფრო მაღალი შედეგისთვის - ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ, - განუცხადა ფაჩულიამ "ასოშეიტედ პრესს".

# ლევან მჭედლიძემ მზადება გოლით დაიწყო

საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდი ლევან მჭედლიძე იტალიურ სერია ა-ში ადგილის დამკვიდრებას ცდილობს. ის პალერმოს ღირსებას იცავს და გასულ სეზონში ტრავმების გამო სრულად ვერ შეძლო საკუთარი პოტენციალის გამოვლენა. სეზონის დასრულების შემდეგ სიცილიურ კლუბს სათავეში ჩაუდგა ვალტერ ძენგა და, ცხადია, საინტერესოა, რამდენად ენდობა ძენგა მჭედლიძეს და რამდენ სათამაშო დროს მისცემს მას.

პელერმომ მომავალი სეზონისთვის მზადება რამდენიმე დღის წინ დაიწყო და პირველი საკონტროლო მატჩი გამართა ქვედალიგელ ტრეიბახთან . სიცილიელებმა ეს შეხვედრა 3:1 მოიგეს. მჭედლიძემ მოედანზე მხოლოდ 18 წუთი დაჰყო და ერთი გოლი გაიტანა.



მჭედლიძემ სეზონისწინა სამზადისი გოლით დაიწყო

მატჩის შემდეგ ლევანმა პალერმოს ოფიციალური ვებგვერდისთვის მცირე კომენტარი გააკეთა.

უკმაყოფილო არ ვარ. მართალია, მოედანზე მხოლოდ რამდენიმე წუთი დავყავი, მაგრამ გოლი მაინც გავიტანე. ცხადია, მომავალი სეზონისწინა მზადების გამარჯვებით დაწყება კარგი ნიშანია. გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი ვალტერ ძენგა კვირას პირველად ვნახე. კარგი ადამიანი და ძლიერი სპეციალისტია. გასულ სეზონში ჩემპიონატში მერვე ადგილზე გავედით და შედეგის გაუმჯობესება გვინდა. პალერმო ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს აქცენტს. ჩვენი მიზანია გუნდს შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ. წინა სეზონში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე ტურინის იუვენტუსის კარში, რომელმაც პალერმოს გაამარჯვებინა. ახალ სეზონში იმაზე უნდა ვიმუშაო, რომ სხვა მეტოქეების კარიც ავიღო, - განაცხადა ლევან მჭედლიძემ.

# კოკაის ასპროცენტიანი შედეგი

იაპონიის ქალაქ ნაგოიაში გრძელდება სეზონის მეოთხე სუპერტურნირი სუმოში. სუმოს ქართველი ქომაგებისთვის ამომავალი მზის ქვეყნიდან ჯერჯერობით მხოლოდ სასიამოვნო ინფორმაციები მოდის. ივლისის ბაშოზე სამი საასპარეზო დღის შემდეგ ლევან ცაგურიას ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს და რვა სუმოისტთან ერთად სათავეში უდგას ბაშოს ვირტუალურ სატურნირო ცხრილს. ოდნავ უარესი მაჩვენებელი აქვს ლევან გორგაძეს - მან ტურნირის მეორე დღეს წაიფორხილა და ახლა ორი გამარჯვება და ერთი მარცხი აქვს.

ასპარეზობის მესამე დღეს კოკაი დასავლეთის მეცხრე მაიგაშირა ტოჩინონადას დაუპირისპირდა და მეტოქე უვატენაგეს ილეთით დასცა დოჰიოზე. გამოცდილ თანამემამულეს მხარი აუბა ტოჩინოშინმა - აღმოსავლეთის მეშვიდე მაიგაშირა ტოინოშიმა ასევე უვატენაგეს ილეთით დაამარცხა.

მორიგი გამარჯვებები მიითვალეს ჰაკუჰომ და ასოშორიუმ. მათ სამ-სამი მოგება დაუგროვდათ.


ქართველებმა ბაშოზე მეორედ გაიმარჯვეს ერთად

დღეს სუპერტურნირის მეოთხე დღეა. კოკაის მეტოქეა დასავლეთის მერვე მაიგაშირა კაკიზოე, რომელსაც სამიდან მხოლოდ ერთი ბრძოლა აქვს მოგებული. ეს ორი სუმოისტი ბოლო ერთ წელიწადში ორჯერ შეხვდა ერთმანეთს და ორივე ბრძოლა კაკიზოეს გამარჯვებით დასრულდა. ასე რომ, კოკაის რევანში აქვს ასაღები და დღევანდელი ბრძოლის მოგების გაორმაგებული მოტივაცია ექნება.

ტოჩინოშინს გაცილებით ძლიერი მეტოქე ეყოლება - ესტონელი კაიდო ჰოველსონი, მეტსახელად ბარუტო, რომელიც დასავლეთის მესამე მაიგაშირას რანგში ასპარეზობს. ბარუტოს სამი ბრძოლიდან ორი აქვს მოგებული. რაც შეეხება პირად სტატისტიკას, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბარუტოსა და ტოჩინოშინის გზები არ გადაკვეთილა.

## ვარკეთილსა და ვაზისუბანს შორის რაგბის ქალაქი გაშენდება

ვარკეთილსა და ვაზისუბანს შორის, დაახლოებით 30 ჰექტარ ფართობზე, რაგბის ქალაქი გაშენდება. ამის შესახებ დღევანდელი მთავრობის სხდომის შემდეგ ქალაქის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა. როგორც მან თქვა, ამ ტერიტორიაზე ამ დროისთვის ნაგავსაყრელია.

უგულავას ინფორმაციით, რაგბის ქალაქში მოეწყობა 15-მდე სავარჯიშო მოედანი და ინფრასტრუქტურა, რაც საჭიროა ნებისმიერი დონის ტურნირის ჩასატარებლად.

მისივე თქმით, სპორტის ამ სახეობის ხელშეწყობა მთავარი პრიორიტეტია, რადგან რაგბი საქართველოში ყველაზე წარმატებული სპორტია და დიდი პერსპექტივა აქვს.

ეს გრძლევადიანი პოგრამაა. გარდა ამისა, ვარკეთილში, შუამთის ქუჩაზე, გაიხსნება რაგბის რამდენიმე ბაზა, რომელიც რაგბის ფედერაციას გადაეცემა. დაგეგმილია დილმის მასივში რაგბის ბაზის რეკოსტრუქციაც", - აღნიშნა თბილისის მერმა.

როგორც უგულავამ განაცხადა, ამ მშენებლობის საქმეში ქალაქი მონაწილეობს მიწის უზრუნველყოფით, ხოლო რაგბის ფედერაციას უკვე ჰყავს კერძო ინვესტორი, რომელიც რაგბის განვითარებას შეუწყობს ხელს.

*ინტერპრესნიუსი"*

## იაშვილს კაპიტნის სამკალური ჩააბარეს

გერმანულმა კლუბმა კარლსრუემ , რომელიც გასული სეზონის შედეგებით ბუნდესლიგიდან გავარდა, მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა, რომელშიც გუნდს ქართველმა ფორვარდმა ალექსანდრე იაშვილმა უკაპიტნა.

იაშკას მეთაურობით კარლსრუემ ოფენბახის კიკერსი 4:1 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა კარლსრუელთა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა და, როგორც კაპიტანს შეშვენის, აქტიურიც იყო, თუმცა, გოლი არ გაუტანია.

კარლსრუემ ოთხივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანა, იაშვილმა კი 71-ე წუთზე დატოვა მინდორი, როდესაც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ედმუნდ ბეკერმა ერთბაშად 9 ცვლილება განახორციელა.

## რონალდინიოს პირობა დაადებინეს

მას შემდეგ, რაც მილანმა კაკა გაყიდა, ყველა ელოდა, რომ როსონერის ბოსები კაკას სათანადო შემცვლელს შეიძენდნენ, თუმცა ბერლუსკონიმ და გალიანიმ ერთხმად განაცხადეს, რომ როდესაც გუნდში თამაშობს რონალდინიო, სხვა ლიდერის ყიდვა უაზრობაა.

ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ბოლო სამი სეზონი ჩააგდო და ახლა მილანი გაუჩოს ათამაშების მოლოდინშია.

იტალიურმა გრანდმა სეზონისთვის მზადება თითქმის ერთი კვირაა დაიწყო, ამას წინათ კი ფეხბურთელებს მილანელოს ბაზაზე სილვიო ბერლუსკონი ეწვია და თავისებურად სცადა რონალდინიოს გამხნევება.

სილვიო ბერლუსკონიმ გუნდის კრებაზე ბრაზილიელი ნახევარმცველი რონალდინიო აიძულა პირობა დაედო, რომ მთელი სეზონის განმავლობაში საქმისადმი პროფესიონალურ დამოკიდებულებას შეინარჩუნებდა.

იტალიის პრემიერ-მინისტრმა ფეხბურთელი აიძულა მაგიდაზე შემდგარიყო, რის შემდეგ მას ასეთი სიტყვებით მიმართა: რონალდინიო, შენ ნამდვილი გამარჯვებული ხარ. მეგობრების წინაშე უნდა მოგვცე სიტყვა, რომ მომავალ სეზონში მოიქცევი როგორც ნამდვილი პროფესიონალი და გუნდს გამარჯვებებს მოუტან .

მომხდარით შეცბუნებული ბრაზილიელი ფეხბურთელი მილანის პრეზიდენტს შეჰპირდა, რომ იმედს არ გაუცრუებდა.

## გვარდიოლამ გლების დატოვება გადაწყვიტა

კატალონიური გამოცემა სპორტ იუწყება, რომ ბარსას თავდამსხმელი, ბელორუსი ალექსანდრ გლები ამ ზაფხულს კლუბს არ დატოვებს.

ბარსას მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მეორე შანსი მისცეს ბელორუს ფეხბურთელს. მისი ბრწყინვალე ტექნიკის გამო პეპს სჯერა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ის შეეგუება ბარსელონას სათამაშო სტილს.

ფეხბურთელის აგენტმა კი განაცხადა: კლუბმა იცის, რომ ჩვენ გვაქვს შემოთავაზებები. თუმცა ჩიკიმ მითხრა, რომ შემდეგ სეზონში გლების ადგილი გუნდში იქნება. ასე რომ, გვარდიოლას გადაწყვეტილებით, ის გუნდში რჩება.

### "პალერმო" ნახევარმცველით გაძლიერდა

"პალერმოს" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ კლუბმა არგენტინის ურაკანიდან ნახევარმცველი ხავიერ პასტორე შეიძინა. 20 წლის ფეხბურთელთან პალერმომ კონტრაქტი 2014 წლის 30 ივნისამდე გააფორმა და იტალიელებს მისი შეძენა სავარაუდოდ 8 მილიონი ევრო დაუჯდათ. არგენტინელის მიმართ, სიცილიელთა გარდა, საფრანგეთის პსჟ, პორტუგალიის პორტუ , ინგლისის არსენალი და მანჩესტერ იუნაიტედი იჩენდნენ ინტერესს, მაგრამ პალერმომ ფეხბურთელის ხელში ჩასაგდებად ყველაფერი გააკეთა და სხვებზე მეტად იაქტიურა. ურაკანის შემადგენლობაში პასტორემ არგენტინის ჩემპიონატში 27 შეხვედრა გამართა და რვაჯერ აიღო მეტოქის კარი.

### ბექჰემი ინგლისში დაბრუნებას არ გამორიცხავს

სავარაუდო შემოთავაზებებს აუცილებლად განვიხილავ. არასოდეს თქვა არასოდეს . როდესაც მანჩესტერ იუნაიტედს ვტოვებდი, ვამბობდი, რომ სხვა ინგლისური კლუბის მაისურს არასოდეს ჩავიცვამდი. მაშინ ჩემი გული მანჩესტერს ეკუთვნოდა და ვერ წარმოვიდგენდი, რომ საყვარელი გუნდის წინააღმდეგ გავიდოდი მოედანზე. ახლა კი ამას არ გამოვრიცხავ , - ამბობს ინგლისელი ვარსკვლავი.

ამჟამად ბექსი ამერიკულ კლუბ ლოს ანჯელეს გელექსიში ირიცხება და, წესით, იანვარში მილანში უნდა გადავიდეს, სადაც ფეხბურთელმა გასული სეზონის მეორე ნახევარი გაატარა.

მილანური კლუბის მესვეურებს ჯერ კიდევ გასულ სეზონში სურდათ დევიდ ბექჰემის კონტრაქტის გამოსყიდვა, მაგრამ ამერიკელებმა ინგლისელი ვარსკვლავი არ დათმეს, თუმცა მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად, ამერიკაში საფეხბურთო სეზონის დასრულებისთანავე ბექსი კვლავ მილანში დაბრუნდებოდა.

### "მანჩესტერის" ახალი შვიდიანი ოუენი იქნება

ერიკ კანტონა, დევიდ ბექჰემი, კრიშტიანუ რონალდუ და აი, ახლა უკვე მაიკლ ოუენი. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რატომ გავაკეთეთ ასეთი ჩამონათვალი. პირველი სამი ფეხბურთელი მანჩესტერ იუნაიტედის ცოცხალ ლეგენდად იქცა და სამივე მანკუნიანურ კლუბში შვიდნომრიანი მაისურით თამაშობდა. კრიშტიანუ რონალდუს რეალში გადასვლის შემდეგ ამ საპატიონომრიან მაისურს კლუბის ახლად შეძენილ ჩამქრალ ვარსკვლავს მაიკლ ოუენს ჩააბარებენ.

29 წლის ინგლისელი ფორვარდი, რომელიც გასულ სეზონში ნიუკასლში თამაშობდა, მანჩესტერულ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

თვალის მიკროქირურგიის

ჯავრიშვილის

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8

და ერთი მოძრავი

ბლოკით

SLT - ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული

ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

# ახალგაზრდა ოლიმპიელები ლოტოს შემოსა

გიგა გურასაშვილი

*პირველი შემთხვევაა, როდესაც ქართველი სპორტსმენები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე და ოლიმპიურ თამაშებზე ერთიანი ფორმით წარსდგებიან. ამ შემთხვევაში საქართველოს ნაკრებს ლოტოს უნიფორმით შემოსილებს ვიხილავთ. ცნობილი ბრენდი ქართველ სპორტსმენებს ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩათვლით შემოსავს. მანამდე კი ახალგაზრდა ქართველი ოლიმპიელები ტამპერეს ოლიმპიურ ფესტივალზე გამგზავრებამდე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში იახლეს და იქვე ახალი უნიფორმის ერთგვარი დეფილეც მოაწყვეს.*



გიორგი ქანიშვილის ფოტო

ამიერიდან ოლიმპიურ სახეობაში მოასპარეზე ყველა სპორტსმენი თუ დელეგაცია, საზღვარგარეთ გამართულ ნებისმიერი რანგის ასპარეზობაზე საქართველოს დროშის ფერებში გადაწყვეტილი ლოტოს ფორმებით წარსდგება. მანამდე კი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპორტსმენები, არა მხოლოდ შეჯიბრებებზე, საზღვარგარეთ გადაადგილებისასაც ვალდებულნი არიან ეს ფორმები ეცვათ, რითიც ხაზს გაუსვამენ საკუთარ წარმომავლობასო.

ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, გია ნაცვლიშვილმა მადლობა გადაუხადა ყველას და აღნიშნა, რომ ამაყია, რადგან ქართველ სპორტსმენებს ამიერიდან საქართველოში შეკერილი ფორმები ეცმევათ. მისგანვე გახდა ცნობილი, რომ ლოტოს" ფირმის ფორმები ბობოყვათის ფაბრიკაში შეიკერა და მათ არა მხოლოდ ქართველებისგან, არამედ სხვადასხვა ქვეყნებიდანაც მიიღეს შეკვეთები.

საქართველოს დელეგაცია ტამპერეში ოლიმპიურ ფესტივალზე 38-კაციანი დელეგაციით 18 ივლისს გაემგზავრება. დელეგაციაში შემავალი 24 სპორტსმენი საკუთარ ძალებს მოსინჯავს სპორტულ ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ჩოგბურთსა და ძიუდოში. დელეგაციას ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი უხელმძღვანელებს. დელეგაციის ხელმძღვანელობაში ასევე იქნება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი სამყურაშვილი. ახალბედა სპორტსმენებს გზა დაულოცეს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა - რევაზ მინდორაშვილმა და ნინო სალუქვაძემ.

# ალპინისტური ნათლობა მწვერვალ ვაჟა-ფშაველაზე

ავთანდილ ჭყვიშელი

ეტყობა, თბილისის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებამ მრავალი წლის წინათ მივიწყებული საქალაქო ალპინიადების აღდგენა განიზრახა. ყოველ შემთხვევაში, ამ მხრივ პირველი ნაბიჯები გადადგა, როცა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციასთან ერთად, რომლის პრეზიდენტი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი შოთა მირიანაშვილი გახლავთ, ხევსურეთში აღმართული დიდებული ჭაუხების მასივის ერთ-ერთ უმშვენიერეს მწვერვალ ვაჟა-ფშაველაზე ალპინიადა მოაწყო. ალპინიადაში, რომელსაც თავად შოთა მირიანაშვილი მეთაურობდა, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, მათი პროფესორ-მასწავლებლები და რამდენიმე სკოლის უფროსკლასელებიც მონაწილეობდნენ. მათი კარვებით, საძილე ტომრებით, თოკებითა თუ სხვა საჭურველ-ინვენტარით აღჭურვისა და საკვებით მოსამარაგებლად მერიამ სახსრები არ დაიშურა. მანვე გამოყო ხევსურეთში, ოხრახევამდე ასასვლელი ავტობუსები, სადაც ალპინიადის მონაწილენი დაბანაკდნენ. აქ ისინი სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელ ვაჟა მათითაშვილისა და გამოცდილი ინსტრუქტორების მეთაურობით ალპინიზმის თეორიული გაკვეთილები მიიღეს. ახალბედებს იქვე პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარდათ მთის ბობოქარი მდინარის გადალახვის მეთოდებში, მერე კი ალპინიადის 120-ზე მეტი მონაწილიდან ისინი, რომლებიც ჭაუხების მისადგომებისკენ ერთდღიან მომქანცველ ლაშქრობას არ შეუშინდნენ, გზას გაუდგნენ. მათი ჭაპანწყვეტა შეამსუბუქა ქართველ მესაზღვრეთა ბარისახოს საგუშაგოს მეთაურის გიორგი ლიქოკელის გულისხმიერებამ, რომელმაც მოლაშქრეებს ცადატყორცნილ სოფელ როშკამდე საკვებისა და ინვენტარის ასაზიდად თუ ჩამორჩენილთა ასაყვანად ორი ჯიპი მიაშველა. როშკიდან 2500 მეტრის სიმაღლეზე მდებარე აბუდელაურის ტბებამდე, სადაც საიერიშო ბანაკი დასცეს, ჯიპები სოფელში დაქირავებულმა სამმა ცხენმა შეცვალა.



ალპინიადა ვაჟა-ფშაველას მისადგომებთან

ავთანდილ ჭყვიშელის ფოტო

მეორე დღეს უთენია ასვლაც დაიწყო, თუმცა რამდენიმემ, ვინც კლდოვანი მწვერვალისკენ მიმავალმა გზამ თუ უგზოობამ შეაკრთო, კარვებში დარჩენა ამჯობინა. მერე ზოგს ეს არც უნანია, რადგან ზემოთ მიმავალთ საშინლად გაუავდრდათ. მოლაშქრენი თანდათან შედედებულ რძესავით ისეთ სქელ ნისლში შთაინთქნენ, რომ სულ რამდენიმე მეტრში ერთმანეთსაც ველარ ხედავდნენ. ველარ ხედავდნენ იმ ზღაპრულ მშვენიერებასაც, რომელიც სიმაღლის მატებასთან ერთად სულ უფრო დიდებულად რომ უნდა გამოჩენილიყო, ღრუბლებში ასულნი კი სინოტივეს მართლაც ღრუბელივით ისრუტავდნენ და ილუმპებოდნენ.

ერთი სიტყვით, ამინდმა არ გაუმართლა ასვლის მონაწილეებს, თუმცა ასამდე კაცმა ათმეთაურების წყალობით მიზანს მაინც მიაღწია, გამოცდილება კი იმათ იმდენი ჰქონდათ, ბევრს რომ ეყოფოდა საამაყოდ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქართული ალპინიზმის ვეტერანები, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონ-პრიზიორი ოთარ ხაზარაძე, ურთულეს და მრისხანე მწვერვალებზე გზის გამკვალავი გიორგი როსტომაშვილი, მრავალნაცადი თეიმურაზ ახალკაცი, ავთანდილ გურასაშვილი, მუხლმაგარი ახალგაზრდები ოთარ თათარაშვილი, ლევან შერვაშიძე და გიორგი რეხვიაშვილი. მათი წყალობით, საბედნიეროდ, პრობლემები არ გასჩენიათ ქვემოთ დარჩენილ სამაშველო სამსახურის უფროსს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ დიმიტრი (მიტო) დანგაძეს, დემურ ცომაიას და სხვებს, ყველას მონდომებით კი ეს ასვლა სამუდამოდ დაამახსოვრდებათ ახალბედებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც მთამსვლური ნათლობა მწვერვალ ვაჟა-ფშაველაზე მიიღო. მათ შორის იყვნენ ალპინიადის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილენი, თბილისელი მოსწავლეები: გიორგი მექვაბიშვილი, თორნიკე ქამხაძე, გიორგი წყაროველი, ნინო ასათიანი და ანანო გაბელაია. ამ გოგონამ მწვერვალ ვაჟა-ფშაველაზე მეორედ ამოჰყო თავი და იგი სხვებთან ერთად კვლავაც აპირებს მთაში სიარულს.